

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა : თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი  
პრაქტიკა

გოლეტიანი ადელი

ადამიანის უფლებები, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი  
(თარგმანი და თარგმანის ანალიზი)

გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისრის ოფისი, ფაქტის  
ფურცელი N32

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები : ნინო წერეთელი,  
ფილოლოგიის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი  
მაია გურგენიძე  
ფილოლოგიის დოქტორი  
ასისტენტ- პროფესორი

თბილისი 2019

## ანოტაცია

თემის აქტუალობა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემაში „ადამიანის უფლებები ,ტერორიზმი და კონტრტერორიზმი“ დასმულია საკითხი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია და ყველას ეხება , ეს არის ადამიანის უფლებები და ტერორიზმი. აქ წარმოდგენილია ინფორმაცია თუ, როგორ ზეგავლენას ახდენს ტერორიზმი ადამიანის ძირითად უფლებებზე, რა უარყოფითი შედეგები აქვს საზოგადოებაზე და როგორ ხდება მისი პრევენცია მთავრობების და გაეროს მიერ, რა ვალდებულებები ეკისრებათ სახელმწიფოებს, რა გარანტიები არსებობს მასთან საბრძოლველად .

მიზნები და ამოცანები: გამოცემაში მოცემულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც განსაზღვრავს თუ როგორ ხდება ადამიანის უფლებების და ტერორიზმის დაბალანსება; ეფექტური ღონისძიებების გატარება; ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა ხელყოფისგან , დასმულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა მავნე ზემოქმედებები გააჩნია მას და როგორ ხდება მასთან შებრძოლება, რა გზებით.როგორ რეაგირებს მთავრობა ამ პრობლემატიკაზე, რის გაკეთებას ცდილობს მის აღმოსაფხვრელად. გაეროს მიერ რა სტრატეგიები მუშავდება და როგორ ცდილობენ გაეროს წევრი სახელმწიფოები თავისი მოქალაქეების დაცვას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

კვლევის საგანი /ობიექტი: კვლევის საგანი სწორედაც ,რომ ტერორიზმია,მისი შესწავლა საერთაშორისო ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას უფრო მარტივად შეებრძოლონ და მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ, რათა თავიდან აიცილონ ფატალური შედეგები.

შედეგები და სიახლე: ტერორიზმის შესწავლის შედეგები განისაზღვრება იმ დადებითი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმით , რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახორციელებს და რაც მთვარია ამ პუბლიკაციის გამოცემით ისინი აშკარას ხდიან ტერორიზმის საშიშროებას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას უწყობენ ხელს.

## **Anotation**

The actuality of a topic: In this piece of work “Human rights, terrorism and counterterrorism” is reflected the topic, which is one of the most actual question in present day and is referred to everyone, these are Human rights law and Terrorism , the represented information is about how terrorism impacts on human rights , what negative effects does it have for the society and how it is prevented by certain groups , especially , by Governments and UN, what are the main responsibilities and duties , and what kind of guarantees exist to counter terrorism.

Goals and objectives: This publication gives us those main issues, which emphasizes how human rights law and terrorism is balanced , how the effective and lawful counter terrorism measures are taken and , how human rights is protected from violations , is given the main question about what negative effects does it have and how it is prevented , by what means .how the Government reacts on this problem and what they do to combat it. What kind of strategies are made by United nations and how the Government tries to ensure protection and security of their population .

The subject of the study/objective : The subject of our study is terrorism and its function , the study of terrorism aspects gives chances to the international organizations to counter it easily and to be always ready in order to avoid fatal cases.

Results and innovation: The results of terrorism is defined by taking its positive and effective steps , which is done carefully by United nations , and what is the most important by publishing this publication is that ,they make it clear about how terrorism is dangerous for the society and it promotes the awareness of public conception.

## სარჩევი

შესავალი .....	6
I. ადამიანის უფლებები და ტერორიზმი .....	11
ა) რა არის ადამიანის უფლებები ? .....	11
ბ.რა არის ტერორიზმი .....	15
გ . ადამიანის უფლებებზე ტერორიზმის გავლენა .....	17
დ. ანგარიშვალდებულება და დაზარალებულთა უფლებები .....	21
ე) ტერორიზმი და საერთაშორისო სამართლის სხვა ასპექტები .....	24
II. ადამიანის უფლებები და კონტრტერორიზმი .....	35
ა. ტერორიზმთან ბრძოლაში ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა და დაცვა .....	36
ბ. ადამიანის უფლებათა სამართლის მოქნილობა .....	41
III. კონკრეტული ადამიანის უფლებათა გამონწვევები ტერორიზმის და კონტრტერორიზმის კონტექსტში .....	52
ა. სიცოცხლის უფლება .....	53
ბ. გამონწვევები წამების წინააღმდეგ აბსოლუტურ აკრძალვაზე .....	56
გ. ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილ პირთა გადაყვანა .....	58
დ. პირის თავისუფლება და უსაფრთხოება .....	62
ე. პროფილირება და არა-დისკრიმინაციული პრინციპები .....	63
ვ. სამართლიანი სასამართლოს უფლება და სათანადო სამართალწარმოება .....	65
ზ. კანონიერების პრინციპი და ტერორიზმის განმარტება .....	67
თ. გამოხატვის თავისუფლება და ტერორიზმისადმი წაქეზების აკრძალვა. ....	71

ი. გაერთიანების თავისუფლება .....	73
კ. მეთვალყურეობა, მონაცემთა დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება .....	76
ლ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.....	78
დანართი:	
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედება ტერორიზმის წინააღმდეგ.....	92
ანალიზი .....	110
თეორიული ასპექტები .....	112
დასკვნა .....	128
ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა .....	130
გამოყენებული ინტერნეტ- რესურსები .....	131
გამოყენებული ლექსიკონები .....	132
დანართი 1 .....	132
დანართი 2 .....	133

## შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემა „ადამიანის უფლებები, ტერორიზმი და კონტერორიზმი“ ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმისა და ადამიანის უფლებების თემატიკაზე და მასთან დაკავშირებულ მრავალ საინტერესო საკითხზე. ტერორიზმის თემა უდავოდ არის მნიშვნელოვანი და მასზე მსჯელობა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ საჭირო და სავალდებულოცაა, ტერორიზმი არ არის რომელიმე ერთი სახელმწიფოს პრობლემა, მას ყველა სახელმწიფო ერთიანი ძალებით უნდა ებრძოდეს, განსაკუთრებით, ისეთ ადგილებში სადაც მისი განვითარების საშიშროებაა, იგი გლობალური მოვლენაა და მის წინააღმდეგ შესაბამისი სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო, რაც ორგანიზაციების მოვალეობას წარმოადგენს, ისინი თვალყურს უნდა ადევნებდნენ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ტერორისტულ მოვლენებს, რათა თავიდან დაიჭირონ და დროულად მოახდინონ მისი პრევენცია. ჩანოთვლილი საკითხები ადასტურებს ამ თემის მნიშვნელოვანებას და აქტუალობას.

საკვლევი თემის მიზანია წარმოვაჩინოთ ტერორიზმსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემატიკის ძირითადი არსი და ავსახოთ ნათლად თუ რას გულისხმობს ორივე ერთად და ამის პარალელურად ცალ-ცალკე თითოეული, ტერორიზმი არის ძალადობრივი ქმედება, ძალადობრივი სისტემა, რომელიც მოსახლეობაში შიშის დანერგვისა და პოლიტიკური კლიმატის ცვლილებებისთვის გამოიყენება, იგი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოებისთვის, პოლიტიკური მხარისთვის, ყველა ეროვნებისთვის, რადგან მისი გავრცელების არეალი დიდია. ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა უნდა გამოვყოთ ის ელემენტები, რომელიც საერთოა ყველა მისი განმარტებისთვის, ეს საერთო

ელემენტი არის მისი გამოწვევი ფაქტორი-ძალადობა .ტერორიზმი ძალადობას იყენებს როგორც იარაღს,რათა შექმნას შიში არა მხოლოდ მსხვერპლ ჯგუფში ,არამედ უფრო ფართო არეალში . ტერორიზმს ინვესს ძალადობრივი ქმედებებით ანგაჟირებული დაჯგუფებები, რომელთაც საერთო ინტერესი ამოძრავებთ ,ისინი მიმართავენ ყველა სახის დანაშაულებრივ ქმედებას, მეთოდებს,მაგალითად: მოტაცებები, მძევლად აყვანა, აფეთქებები, მათი მიზანია დაამსხვრიონ საზოგადოებაში სტაბილურობის განცდა ,ისინი ცდილობენ პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ პროპაგანდის აგორებას„ტერორიზმს აშკარად აქვს პირდაპირი და რეალური გეგავლენა ადამიანის უფლებებზე, სიცოცხლის უფლების, თავისუფლებისა და დაზარალებულის ფიზიკური მთლიანობის გამანადგურებელი შედეგებით, ვარდა ამ ინდივიდუალური საკითხებისა , ტერორიზმს შეუძლია მთავრობების დესტაბილიზაცია მოახდინოს , სამოქალაქო საზოგადოების უფლებები შელახოს,საფრთხე შეუქმნას მშვიდობასა და უსაფრთხოებას , სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას . ამ ჩამონათვლიდან ყველა მათგანს აქვს სერიოზული და ფატალური გავლენა ადამიანის უფლებებზე “[გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში (გაერო) ,ფაქტის ფურცელი N32 :7].

გაეროს წევრი სახელმწიფოები თავის თავზე იღებენ რიგ პასუხისმგებლობებს, რათა დაიცვან ადამიანები ტერორისტული შემოტევებისგან,განსაკუთრებულად გამოიყოფა ტერორისტების მხრიდან ისეთი ქმედებები, რომლებიც გამიზნულია პირდაპირ ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეებისკენ, ეს არის განზრახ დაგეგმილი, ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ორგანიზებული ქმედებები ,რომლებიც მიზნად ისახავენ მოქალაქეების დაშინებას, მათში პანიკისა და შიშის შეგრძნების გამოწვევას, ამის მაგალითია 2003 წლის 19 აგვისტოს ბალდადში დატრიალებული მოვლენები , ეს ის თარიღია,როდესაც ტერორისტული შეტევის შედეგად დაიღუპა გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სერხიო ვიეირა დე მელიო , 21 ადამიანი , 150 ზე მეტი კაცი კი სასიკვდილოდ დაიჭრა (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ,შემდგომში (გაერო) , ფაქტის ფურცელი N32: 1).

ინდივიდუალური უსაფრთხოება ადამიანის ძირითადი უფლებაა და მისი დაცვა , შესაბამისად, სახელმწიფოს ფუნდამენტური ვალდებულებაა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეების უფლებების დაცვა ეფექტური კონტრტერორისტული ღონისძიებების გატარებით , რათა დაიცვან ისინი ტერორისტული ქმედებებით გამოწვეული საფრთხისგან, ამგვარი ქმედებების ჩამდენები კი მართლმსაჯულების წინაშე წარადგინონ.

*„თუმცა, ბოლო წლებში სახელმწიფოების მიერ ტერორიზმთან ბრძოლისთვის მიღებულმა ზომებმა, ადამიანის უფლებები და უზენაესი კანონი ბევრჯერ სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა . ზოგიერთი სახელმწიფო ტერორიზმთან ბრძოლისთვის წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ხერხს მიმართავს , მაშინ როცა წამების პრევენციისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი და პრაქტიკული გარანტიები, როგორცაა დაკავების ცენტრების რეგულარული და დამოუკიდებელი მონიტორინგი, ხშირად მათ მიერ უგულებელყოფილი იყო. სხვა სახელმწიფოებმა ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი პირები უკან დააბრუნეს იმ ქვეყნებში, სადაც ისინი წამების ან სხვა სერიოზული საფრთხის რისკის წინაშე იმყოფებიან და შესაბამისად , ამით არღვევენ არგაძევების საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას. სასამართლოს დამოუკიდებლობა ზოგ ადვილას გარკვეულწილად შეირყა, მაშინ როდესაც , გამონაკლისი სასამართლოების გამოყენებამ სამოქალაქო პირების გამოსაცდელად რეგულარული სასამართლო სისტემის ეფექტიანობაზე მოახდინა გავლენა“*  
*[გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში (გაერო), ფაქტის ფურცელი N32 : 1 ] .*

ტერორიზმზე მსჯელობისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ადამიანის უფლებებზე , რადგან ეს არის უზენაესი სამართლებრივი უფლებები, რომელშიც ყველა ინდივიდის უფლება არის გათვალისწინებული და არის მიუკერძოებელი და საყოველთაო. ტერორიზმის კონტექსტში ადამიანის უფლებების დაცვა უნდა ხდებოდეს , რადგან იგი ვნებს და ლახავს ამ უფლებებს , ტერორიზმს რომ არ ჰქონდეს არასახარბიელო ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე და მათ დაცვაზე, უნდა ხდებოდეს



მთელი რიგი ღონისძიებების გატარება , მისი საშიშროება გააზრებულია უმაღლეს დონეზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, ისინი მთელი ყურადღებით და ძალებით არიან ჩართულები და შეისწავლიან მის გამავრცელებელ ელემენტებს, შემუშავებენ სტრატეგიებს , რათა დაამარცხონ ტერორიზმი ან ხელი შეუშალონ მის გავრცელებას, არსებობს მთელი რიგი ხელშეკრულებები ,რომლებიც ავალდებულებენ წევრ სახელმწიფოებს ნორმების შესაბამისად მოიქცნენ ,რათა მუდმივად აკონტროლონ სიტუაცია , რადგან ცხადია მისგან გამომდინარე შედეგები ფატალურია არა მხოლოდ მოსახლეობისთვის,არამედ თვითონ სახელმწიფოსთვის, იგი რეალური რისკის წინაშე აყენებს სახელმწიფოებს და იწვევს მთელ რიგ დანაკარგებს, დაწყებული ადამიანური რესურსისიდან დამთავრებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით, რადგან იგი აფერხებს ქვეყნების გამართულად მუშაობას და არასტაბილურობას ქნის.

*„ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის პატივისცემა უნდა იყოს ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის ქვაკუთხედი. ეს მოითხოვს ნაციონალური კონტრტერორისტული სტრატეგიის შემუშავებას,რომელიც თავიდან აიცილებს ტერორისტულ ქმედებებს, სისხლის სამართლის საქმეებზე პასუხისმგებელ პირებს განდევნის და დაიცავს ადამიანის უფლებებს და კანონის უზენაესობას . ეს გულისხმობს ტერორიზმის გავრცელების პირობების გაგებას , მათ შორისაა კანონის უზენაესობის არარსებობა და ადამიანის უფლებების, ეთნიკური, ეროვნული დარღვევები და რელიგიური დისკრიმინაცია ,პოლიტიკური გარიყულობისა და სოციალურ-ეკონომიკური მარჯინალიზაციის პირობები; ხელი უნდა შეეწყოს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას და სამოქალაქო საზოგადოების ხელმძღვანელობის ჩამოყალიბებას ; ადამიანის უფლებათა დარღვევის დაგმობას, მათ აკრძალვას კანონმდებლობაში, დაუყოვნებლივ გამოძიებას და განდევნის თავიდან არიდებას. „ [გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში(გაერო), ფაქტის ფურცელი N32 : 2]*

კვლევისთვის გამოყენებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს გამოცემა , მოიაზრებს ყველა შემთხვევებელ ფაქტორს, აქ დასმულია საკითხები ,რომელიც

ითვალისწინებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, იქნება ეს სიცოცხლის უფლება, თავისუფლება თუ საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი ასპექტები, გამოცემაში ყოველივე მნიშვნელოვანი საკითხი მოკლედ და თვალსაჩინოდ არის დამუშავებული. ფაქტის ფურცელი N32 გამიზნულია ფართო აუდიტორიის დასახმარებლად ადამიანის უფლებების საბაზისო საკითხების გაგებისთვის, გვანჯდის გაერთიანებული ერების ორანიზაციის მუშაობაზე, მათ ჩართულობაზე ინფორმაციას, რას აკეთებს ეს ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისთვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის რა საერთაშორისო მექანიზმებს იყენებს და რა შედეგებით სრულდება.

*„ეს ფაქტის ფურცლები მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების, ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისკენ, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისკენ, იურიდიული პრაქტიკოსებისა და ფიზიკური პირებისკენ, რომლებიც ტერორიზმისა და კონტრტერორიზმის კონტექსტში ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობის უზრუნველყოფაზე არიან ორიენტირებულები.*

*კონკრეტულად, ფაქტების ფურცელი გამიზნულია :*

- ტერორიზმისა და კონტრტერორიზმის გავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე.*
- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკოსებისთვის კონტრტერორისტული ზომების მიღების და ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკული საშუალებების მიწოდებაზე.*
- მისი მიზანია მოგვანოდოს ადამიანის უფლებების შესაბამისი სახელმძღვანელო ტერორიზმთან ბრძოლისას.*
- ასახოს ადამიანის უფლებების კონკრეტული გამოწვევები ტერორიზმთან ბრძოლის დროს.“*

*[გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში (გაერო), ფაქტის ფურცელი N 32 : 2].*

## I . ადამიანის უფლებები და ტერორიზმი

ეს თავი, ადამიანის უფლებებზე ტერორიზმის გავლენის განხილვამდე, ადამიანის უფლებების სტრუქტურას განმარტავს. ამის შემდეგ ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმზე, ადამიანის უფლებებსა და სხვა მსგავსი საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების საკითხებზე .

### ა) რა არის ადამიანის უფლებები ?

#### 1. ადამიანის უფლებათა ბუნება

ადამიანის უფლებები ის უზენაესი სამართლებრივი უფლებებია , რომელიც იცავს ადამიანისა და ჯგუფების უფლებებს მათ თავისუფლებაში, ღირსებასა და უფლებამოსილებაში სახელმწიფოებრივი ჩარევისგან . ადამიანის უფლებების მთლიანი არსი მდგომარეობს იმაში , რომ ის ასრულებს იმ ფუნქციებს , რომლითაც იცავს ადამიანის სამოქალაქო, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს , აგრეთვე გულისხმობს პიროვნული განვითარების თავისუფლებასაც. ადამიანის უფლებები ის უნივერსალური უფლებებია, რომლებიც ყველა ინდივიდს ითვალისწინებს , მიუკერძოებელი და განუყოფელია.<sup>1</sup>

## 2.ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი ასახულია ძირითად საერთაშორისო უფლებათა ხელშეკრულებებში და ჩვეულებით სამართალში.

ეს ხელშეკრულებები მოიცავს კონკრეტულად საერთაშორისო შეთანხმებებს ეკონომიკურ,სოციალურ და კულტურულ უფლებებზე და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმებას ,მის ორ არჩევით ოქმთან ერთად. სხვა მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები არის ხელშეკრულებები ყველა ფორმის რასის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ . აქ შესულია შეთანხმებები ქალთა დისკრიმინაციის, ადამიანთა წამების, ცუდად მოპყრობისა და სხვა არაადამიანური წამების ფორმების აღმოფხვრაზე თავის არჩევით ოქმებთან ერთად. აგრეთვე, ბავშვთა უფლებების დისკრიმინაციის შესახებ ხელშეკრულება, მის ორ არჩევით ოქმთან ერთად , მიგრაციაში მყოფი მომუშავე ადამიანების და მათი ოჯახების დაცვის შესახებ შეთანხმებები .ყველაზე უახლესი ამ შეთანხმებებს შორის არის შეთანხმებები ადამიანთა იძულებითი გაუჩინარების , უნარშეზღუდული ადამიანების შესახებ მათ ოქმებთან ერთად ,რომლებიც შემოიღეს, 2007 წლის დეკემბერში .ასევე არსებობს კონკრეტულ სუბიექტებზე მორგებული შეთანხმებები ,ოქმები ,ასევე სხვა რეგიონალური შეთანხმებები ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვაზე .

ადამიანის უფლებათა სამართალი ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული უფლებების ჩამონათვალით არ არის შეზღუდული, პირიქით მოიცავს ისეთ უფლებებს და თავისუფლებებს , რომლებიც ჩვეულებითი სამართლის ნაწილი გახდა ,ეს ნიშნავს იმას, რომ იგი აკისრებს ვალდებულებას ყველა სახელმწიფოს , მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი ამ ხელშეკრულებების მხარეები .თუმცა, ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში შესული უფლებები სწორედ ამ ხასიათს ატარებენ. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა კომენტარის სახით დააფიქსირა მოსაზრება,რომ საერთაშორისო

შეთანხმებაში მოცემული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები სწორედაც, რომ ჩვეულებით სამართალში არსებულ ნორმებს ასახავს .უფრო მეტიც,ზოგიერთ უფლებას განსაკუთრებული სტატუსი გააჩნია ,როგორც ( Jus Cogens ჩვეულებითი სამართლის იმპერატიულ ნორმებს) ,რაც ნიშნავს იმას,რომ არ არსებობს ისეთი გარემოება,რომლითაც ამ ნორმებიდან გადახვევა დაიშვება.

წამების, მონობის, გენოციდის, რასის მიხედვით დისკრიმინაციის და სხვა დანაშაულებათა არსებობა ადამიანთა მოდგმის წინააღმდეგ „აგრეთვე თვით-დისკრიმინაცია“, აღიარებულია ,როგორც იმპერატიული ,როგორც აღნიშნულია საერთაშორისო სამართლის კომისიის წესდებაში .საერთაშორისო სამართლის კომისია ასევე ასახელებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად ნორმებსაც ,რომელიც გამოყენებულია შეიარაღებული კონფლიქტებში როგორც იმპერატიული ნორმების მაგალითი<sup>2</sup> . ამის მსგავსად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს სიცოცხლის თვითნებური წართმევის, წამების, და არაადამიანური მოპყრობის და დევრადაციის საკითხებზე , ასევე მძევლად აყვანის, ჯგუფური დასჯის , თავისუფლების თვითნებური ჩამორთმევის შესახებ და სათანადო სამართალწარმოების დარღვევების არადეროგატიულად მიჩნევა .მაშინ როცა რასული დისკრიმინაციის აღმოფხრის მომხრე კომიტეტი რასის ნიშნით დისკრიმინაციაზე და შეიარაღებული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ განცხადებაში არა-დისკრიმინაციის პრინციპს ადასტურებს ,როგორც Jus cogens ნორმა.

3. სახელმწიფოს ვალდებულებების ხასიათი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით.

ადამიანის უფლებათა სამართალი ავალდებულებს სახელმწიფოებს ,რომ შეასრულონ თავისი ძირითადი ვალდებულებები და თავი შეიკავონ სხვა ვალდებულებების განხორციელებისგან. სახელმწიფოები ვალდებულები არიან პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ ადამიანის უფლებების მოთხოვნები.*პატივისცემაში* იგულისხმება პიროვნების

პირად უფლებებში ჩაურევლობა , დაცვა გულისხმობს იმ პოზიტიური ნაბიჯების გადადგას,რომლითაც ვრწმუნდებით,რომ სხვები ვერ ჩაერევიან კონკრეტული პიროვნებების პირად სივრცეში ,ხოლო ადამიანის უფლებათა შესრულება გულისხმობს იმას,რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები ,მათ შორის საკანონმდებლო , აღმასრულებელი, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო ,იმისთვის რომ წარმატებით აღასრულონ თავისი სამართლებრივი ვალდებულებები. სახელმწიფო თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას კერძო პირის ან პირების ადამიანის უფლებებში ჩარევაზე თუკი ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო საგულდაგულოდ ამგვარი ქმედებებისგან ადამიანის უფლებების დაცვა. მაგალითად ,სამოქალაქო და პოლიტიკური საერთაშორისო პაქტის თანახმად სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება გადადგან თამამი ნაბიჯები, რათა დარწმუნდნენ,რომ კერძო პირი ან პირები მათი ძალაუფლების ფარგლებში სხვა ადამიანის მიმართ სისასტიკეს ,წამებას ,არაადამიანურ ან დამამცირებელ ქმედებებს არ სჩადიან.

ადამიანის უფლებათა სამართალი ასევე პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოებს დარღვევების ეფექტური აღმოფხვრისთვის.<sup>3</sup>

ჩვეულებით სამართალში შესული ადამიანის უფლებები გამოიყენება ყველა სახელმწიფოში<sup>3</sup>. ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულებების მიხედვით ,იმ სახელმწიფოებს ,რომლებიც კონკრეტული ხელშეკრულების მხარეა ,ვალდებულებები ეკისრებათ სწორედ ამ ხელშეკრულებით.არსებობს ვალდებულებების აღსრულების სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის ,ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოების მიერ სახელმწიფოს გარკვეულ ხელშეკრულებებთან შესაბამისობის შეფასება და კერძო პირების უნარი , იჩივლონ საერთაშორისო ორგანიზაციებში საკუთარი უფლებების დარღვევის გამო .უფრო მეტიც,განსაკუთრებით მართლზომიერი ადამიანის უფლებების გამოწვევისთვის ტერორიზმის დროს არის ის,რომ გაეროს ყველა მონაწილე ვალდებულია ერთიანი და ცალმხრივი კავშირი იქონიოს გაეროსთან , რათა მიაღწიოს მიზანს წარმატებით ,როგორც მისი ქარტიის 55 -ე მუხლშია მოცემული , მათ შორისაა

ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლების უნივერსალური პატივისცემა და დაცვა მათი რასის, სქესის, ენის, ან რელიგიის განურჩევლად.

საკვანძო კითხვა არის სახელმწიფოს საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ვალდებულებების ტერიტორიული მიდგომა. ზოგადი სამართლებრივი უფლებამოსილების ხასიათი სახელმწიფოებისა განხილულია სართაშორისო სამოქალაქო და პოლიტიკური ადამიანის უფლებათა შეთანხმების მე-2 მუხლში. როგორც დადასტურებულია ადამიანის უფლებათა კომიტეტის N 31 კომენტარში (2004) ზოგად მიმოხილვაში, სახელმწიფოთა ეს ვალდებულებები, რომლითაც ისინი ახორციელებენ სახელშეკრულებო უფლებების დაცვას იურისდიქციის ფარგლებში, ნიშნავს იმას, რომ წევრმა სახელწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა ინდივიდის უფლებების დაცვა და კონტროლი, თუნდაც ისინი არ იმყოფებოდნენ ამ ტერიტორიაზე. ადამიანის უფლებათა დაცვა მხოლოდ კონკრეტული წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს არ ეხება, არამედ ყველას მათი სტატუსისა და ეროვნების მიუხედავად. ასეთები არიან თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები. მრჩეველთა აზრით, იუსტიციის საერთაშორისო სასამართლომ ანალოგიურად დაასკვნა, რომ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება იმ აქტებთან მიმართებაში ხორციელდება, რომელიც შედგენილია სახელმწიფოს მიერ თავისი ტერიტორიის გარეთ თავისი იურისდიქციის განხორციელებისას“. იგივე დასკვნას მიაღწია ბავშვთა უფლებების კონვენციის გამოყენებამ<sup>5</sup>.

## ბ.რა არის ტერორიზმი

ტერორიზმი საყოველთაოდ გამოიყენება იმ ძალადობრივი ქმედებების აღსანიშნავად, რომლებიც მოქალაქეების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დევნაში გამოიხატება. სამართლებრივად, საერთაშორისო თანამეგობრობას ჯერ კიდევ არ მიუღია ტერორიზმის, არსებული დეკლარაციების, რეზოლუციების, უნივერსალური „სექტორული“ ხელშეკრულებების ზუსტი განმარტებები, რომლებიც დაკავშირებულია მის კონკრეტულ

ასპექტებთან და სადაც განსაზღვრულია კონკრეტული ქმედებები და ძირითადი ელემენტები. გენერალური ასამბლეის დეკლარაციამ საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ, მის რეზოლუციაში 49/60 განმარტა, რომ ტერორიზმი მოიცავს იმ „კრიმინალურ ქმედებებს, რომლებიც ინვევენ ტერორის შიშს საზოგადოებაში, ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებში ან კონკრეტულ პიროვნებებში პოლიტიკური მიზნების გამო“ . ასეთი სახის ქმედებები ყველა მხრივ არის გაუმართლებელი, ნებისმიერი პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასის, ეთნიკის, ან სხვა სახის მოსაზრებების მიუხედავად, რომლებმაც შესაძლოა ამ ქმედებების გასამართლებლად გამოიყენონ“.

ათი წლის შემდეგ, უშიშროების საბჭომ თავის 1566 (2004) რეზოლუციაში გაიხსენა „სამოქალაქო პირების წინააღმდეგ განხორციელებული კრიმინალური ქმედებები, რომლებიც იმის გამო ჩაიდინეს რომ, მოქალაქეებისთვის ფიზიკური ზიანი მიეყენებინათ, სასიკვდილოდ გაეწირათ ან მძევლად აეყვანათ, მთავარი მიზანი საზოგადოების, კონკრეტული ჯგუფების ან ინდივიდების დაშინება იყო, მათში ტერორის გრძნობის გამოწვევა, ან უნდოდათ ეიძულებინათ მთავრობა ან საერთაშორისო ორგანიზაცია არ შეესრულებინა და თავი შეეკავებინა ნებისმიერი სახის ქმედებებისგან“.

მოგვიანებით, გენერალური მდივნის მაღალი დონის პანელებმა საფრთხეებზე, გამოწვევებსა და ცვლილებებზე საუბრისას ტერორიზმი დაახასიათა, როგორც ნებისმიერი სხვა სახის ქმედება, რომელიც „გამიზნული იყო სამოქალაქო პირების ან არამომხრების დახოცვის ან სხეულის დაზიანებების მისაყენებლად, ასეთი ქმედებების ჩადენის შინაარსი იყო მოსახლეობის დაშინება ან მთავრობის/ საერთაშორისო ორგანიზაციების იძულება, თავი შეეკავებინათ ნებისმიერი ქმედებების განხორციელებისგან“ და გამოავლინა რიგი საკვანძო ელემენტები, შემდგომი მითითებათა განმარტებებით, რომლებიც 1999 წლის საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის თაობაზე კონვენციაშია შესული და უშიშროების საბჭოს 1566 (2004) წლის რეზოლუციაში<sup>6</sup>.



გენერალური ასამბლეა ამჟამად მუშაობს ტერორიზმის საწინააღმდეგო ყოვლისმომცველი კონვენციის მიღებაზე, რომელიც შეავსებს არსებულ დარგობრივ ანტიტერორისტულ კონვენციებს, მისი მე-2 მუხლის კანონპროექტი შეიცავს ტერორიზმის განმარტებას, მის „უკანონოდ და განზრახ გამომწვევ მიზნებს“ : ა) ნებისმიერი პირის ფიზიკური ან სასიკვდილო დაზიანება ან ბ) საზოგადოებრივი თუ კერძო საკუთრების სერიოზული დაზიანება , მათ შორის საჯარო გამოყენების ადგილის ან სახელმწიფო ან სამთავრობო დაწესებულების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის , ინფრასტრუქტურის ობიექტის ან გარემოს დაზიანებები. ან გ) საკუთრებების, ადგილების, აღჭურვილობებისთვის მიყენებული ზიანი , რომელიც ეკონომიკურ ზარალში აისახება და როდესაც ამ ქმედების მიზანი თავისი ბუნებით და შინაარსით არის მოსახლეობის დაშინება ან სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება მსგავსი ქმედებისგან თავშეკავებისკენ“. კანონპროექტი შემდგომში განსაზღვრავს დანაშაულს , რომელიც თანამონაწილეობით სრულდება , ორგანიზდება ჯგუფის მონაწილეთა , ხელმძღვანელის მითითებით , ამგვარი დანაშაულის ჩამდენი პირები მოქმედებენ მათივე საერთო მიზნებიდან გამომდინარე. მაშინ როცა წევრი ქვეყნები დაეთანხმნენ კონვენციის მრავალ დებულებას, შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით უნდა გამოირიცხოს თუ არა ნაციონალური განმანათავისუფლებელი მოძრაობები მისი მოქმედების სფეროდან , ამ აზრებმა არ შეუშალა ხელი მთლიან ტექსტზე კონსენსუსს. მოლაპარაკებები გრძელდება. ბევრი სახელმწიფო ნაციონალური კანონმდებლობით ტერორიზმს განსაზღვრავს სხვადასხვანაირად.

ტერორიზმის განსაზღვრისას სპეციფიკური გამოწვევები და კანონიერების პრინციპი დეტალურად მითითებულია მესამე თავში , გ- ნაწილში.

### გ . ადამიანის უფლებებზე ტერორიზმის გავლენა

ტერორიზმის მიზანია ადამიანის უფლებების , დემოკრატიის და კანონის უზენაესობის განადგურება, ის ებრძვის იმ ღირებულებებს , რომლებიც გაერთიანებული ერების

ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებშია მოყვანილი: ადამიანის უფლებების პატივისცემა, კანონის უზენაესობა, შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების წესები და სამოქალაქო პირების დაცვა, ტოლერანტობა ხალხებსა და ერებს შორის, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება.

ტერორიზმს პირდაპირი გავლენა აქვს ადამიანის უფლებათა შემდეგ რიგზე: სიცოცხლის უფლებაზე, თავისუფლებასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე. ტერორისტულ ქმედებებს შეუძლიათ მთავრობების დესტაბილიზაცია, სამოქალაქო საზოგადოების დაშინება, საფრთხე შეუქმნას მშვიდობიანობასა და უსაფრთხოებას, ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და შეუძლია განსაკუთრებულად ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს კონკრეტულ ჯგუფებზე. ყოველიველივე ზემოთ ჩამოთვლილს აქვს პირდაპირი ზეგავლენა ადამიანის უფლებათა დაცვაზე.

ადამიანის უფლებათა და უსაფრთხოების შესახებ ტერორიზმის დესტრუქციული გავლენა აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ უმაღლეს დონეზე, ასევე უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის და ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს მიერ. წვერი სახელმწიფოები ტერორიზმის გავლენას შემდეგნაირად ახასიათებენ:

- ადამიანის ღირსებებსა და უსაფრთხოებას ყველგან ემუქრება, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და უდანაშაულოებს სიცოცხლეს ართმევს, ქნის ისეთ გარემოს, რომელიც ადამიანის თავისუფლების შეგრძნებას ანადგურებს და იწვევს მათში შიშს, საფრთხეს უქმნის ფუნდამენტურ თავისუფლებას და მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების განადგურებას.

- აქვს მავნე ზეგავლენა კანონის უზენაესობის დამკვიდრებაზე, ძირს უთხრის პლურალისტულ სამოქალაქო საზოგადოებას, მისი მიზანია საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლების განადგურება, ლეგიტიმური მთავრობების დესტაბილიზაცია.

- აქვს კავშირები ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ,ნარკოტიკით ვაჭრობის,ფულის გათეთრების და იარაღით ვაჭრობის, აგრეთვე ბირთვული , ქიმიური, ბიოლოგიური იარაღების არაკანონიერ გადატანასთან. ასევე დაკავშირებულია ისეთ სერიოზულ დანაშაულებებთან,როგორცაა მკვლელობა, მძევლად აყვანა, გამოძალვა, გატაცება , თავდასხმა და ძარცვა.

- მავნედ ზემოქმედებს სახელმწიფოების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე ,საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებას, მავნედ ზემოქმედებს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობაზე , მათ შორის განვითარებასთან დაკავშირებული თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე , და

- საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების ტერიტორიულ ერთიანობას და უსაფრთხოებას ,არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს და პრინციპებს, საფრთხეში აგდებს საერთაშორისო მშვიდობიანობას და უსაფრთხოებას, ამიტომ უნდა მოხდეს ტერორისტული ქმედებების შეჩერება და ჩახშობა ,რათა საერთაშორისო მშვიდობიანობისა და უსაფრთხოების ხელყოფა არ მოხდეს.

საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებების მიხედვით ცხადია,რომ სახელმწიფოების მოვალეობას და უფლებას წარმოადგენს თავისი იურისდიქციის ფარგლებში ინდივიდების ტერორისტული ქმედებებისგან დაცვა . ეს ვალდებულება წარმოიშობა სახელმწიფოების ზოგადი ვალდებულებებისგან ,როგორცაა დაიცვას პირები მათი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებებში უხეში ჩარევისგან. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფოთა მიერ სიცოცხლის უფლებების პატივისცემა და უსაფრთხოების გარანტია არის მათი ვალდებულებების ნაწილი.

ადამიანის სიცოცხლის უფლება, დაცულია საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით,ასეთია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი,რომელიც აღწერილია,როგორც „ უმაღლესი უფლება „<sup>8</sup> რადგანაც მისი ეფექტური გარანტიის გარეშე ყველა სხვა ადამიანის უფლება იქნებოდა უმნიშვნელო.<sup>9</sup> ამრიგად, სახელმწიფოს ვალდებულებაა თავის მხრივ, დაიცვას

საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში<sup>10</sup> ყველა ადამიანის სიცოცხლე,რომელთა ჩამორთმევა საჯარო საგანგებო მდგომარობის დროსაც კი არაა ნებადართული. ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა გულისხმობს იმას,რომ სახელმწიფომ უნდა გადადგას ყველა მართლზომიერი და აუცილებელი ნაბიჯი ადამიანების სიცოცხლის გარანტიის უზრუნველსაყოფად.

ამ ვალდებულების გათვალისწინებით, სახელმწიფომ ეფექტური მართლმსაჯულების სისტემა უნდა შექმნას და სამართალდამცავი სისტემებიც გააძლიეროს , ანუ მიიღოს ზომები,რათა შეაჩეროს დანაშაულები და გამოიძიოს სამართალდარღვევები , დარწმუნდეს,რომ სისხლის სამართლებრივ დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირები ისჯებიან , დაზარალებულები უზრუნველყონ ეფექტური საშუალებებით და გადადგან სხვა ეფექტური ნაბიჯები მსგავსი დანაშაულებების თავიდან ასაცილებლად.<sup>11</sup> გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულმა კანონმდებლობამ აღიარა ,რომ კონკრეტულ გარემოებებში სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, გაატარონ პრევენციული ღონისძიებები იმ ინდივიდუალური პირების დასაცავად ,<sup>12</sup>რომელთა სიცოცხლე საფრთხეშია სხვა ინდივიდის სამართალდამრღვევი ქმედებების გამო ,ასეთ დამნაშავეებში რათქმაუნდა ტერორისტებიც მოიაზრებიან. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს სახელმწიფოთა ის ვალდებულება ,რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებულები არიან თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები დაიცვან მოსალოდნელი საფრთხისგან.<sup>13</sup>ამაში რათქმაუნდა ტერორისტული ქმედებები მოიაზრება.

იმისთვის,რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ადამიანის უფლებების და სიცოცხლის ეფექტური დაცვა თავისი იურისდიქციის ფარგლებში , სახელმწიფოების ვალდებულება და მოვალეობაა მიიღონ ეფექტური კონტრ ტერორისტული ზომები, რათა თავი დაიზღვიონ მომავალი ტერორისტული თავდასხმებისაგან და სასჯელალსრულებაში მისცენ ისეთი პირები ,რომლებიც ამ სახის თავდასხმებს ახორციელებენ. თუმცა ,ამავე დროს, ტერორიზმთან ბრძოლა ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისთვის გამონწვევებს ქმნის.

სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების დასაცავად სახელმწიფო მოვალეობაა „ტერორიზმთან ბრძოლისთვის ყველა ზომა მიიღოს და სახელმწიფო ვალდებულებები შეასრულოს საერთაშორისო სამართლის ნორმები ადამიანის უფლებების საერთაშორისო, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული კანონმდებლობით.

#### დ. ანგარიშვალდებულება და დაზარალებულთა უფლებები

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, ტერორიზმის კონტექსტში დაზარალებულთა მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ დაუყოვნებლივ ჩატარებულმა ქმედებებმა დიდწილად ვერ შეძლო დაზარალებულთა უფლებების დაცვა, იზრდება საერთაშორისო თანამეგობრობის საჭიროება, რომელიც ყველა დაზარალებული ადამიანის ყველა უფლებას გაითვალისწინებს. 2005 წლის მსოფლიო სამიტის შედეგებზე (გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 60/1), მაგალითად წევრმა სახელმწიფოებმა ხაზი გაუსვეს „ტერორიზმისგან დაზარალებულთათვის და მათი ოჯახის წევრების დახმარების მნიშვნელობასა და იმ მნუხარებაზე ისაუბრეს, რომელიც ოჯახის წევრების დაკარგვამ განაპირობა“. ანალოგიურად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გლობალური ანტი-ტერორისტული სტრატეგია ასახავს წევრი სახელმწიფოების დაპირებას „ხელი შეუწყოს საერთაშორისო სოლიდარობას დაზარალებულთა მხარდასაჭერად და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გლობალურ კამპანიაში ტერორიზმთან და მის აღკვეთასთან დაკავშირებით“.

ტერორიზმისგან დაზარალებულთა საჭიროებების დასახელებისას, უნდა გავითვალისწინოთ განსხვავება, ერთი მხრივ დანაშაულის მსხვერპლსა და მეორე მხრივ ადამიანის უფლებების დარღვევების მსხვერპლთა შორის. მაშინ როცა ეს განსხვავება ყოველთვის არაა მკაფიო, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევებში ტერორისტული ქმედებები განიხილება, როგორც ფიზიკური პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები და სახელმწიფო, პრინციპულად არ იქნება პასუხისმგებელი მათ მიერ ჩადენილ არასამართლებრივ, უკანონო ქმედებებზე. ადამიანის უფლებათა

დარღვევების არსებობა, ძირითადად იმ ორგანოების ან პირების მიერ ხდება, რომლებიც ამ ორგანოების სახელით ან, სახელმწიფოს სახელით სჩადიან დანაშაულს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს კერძო პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე, რაც თავისთავად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების დარღვევას.

ტერორიზმის კონტექსტში დანაშაულის მსხვერპლთა და ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლთა საჭიროებების ყოვლისმომცველი ანალიზი და ამ საჭიროებებიდან გამომდინარე პასუხების გარდა, ამ პუბლიკაციის ფარგლებს მიღმა რჩება რამდენიმე ძირითადი პრინციპი, განსაკუთრებით, საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევის მსხვერპლთა და სერიოზული საერთაშორისო დარღვევების მსხვერპლთა მიმართ.<sup>14</sup> ჰუმანიტარული კანონმდებლობა შეიძლება იყოს შემეცნებითი ტერორიზმის მსხვერპლთა საჭიროებების გათვალისწინებისას, უნივერსალური ხელშეკრულებების კონკრეტული დებულებების ტერორიზმის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებისას, მართლზომიერი იქნებოდა, თუ ტერორიზმისგან დაზარალებულთა მდგომარეობასაც შევხებოდით.

დანაშაულის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა შესახებ დეკლარაციის ძირითადი პრინციპების თანახმად, გენერალური ასამბლეის 40/34 რეზოლუციის მიხედვით დაზარალებულებს მიეკუთვნებიან „ პირები, რომლებიც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად განიცდიან ზიანს, მათ შორის ფიზიკურ და ფსიქიკურ დაზიანებას, ემოციურ ტანჯვას, ეკონომიკურ დანაკარგს ან მათი არსებითი ფუნდამენტური უფლებების გაუფასურებას, იმ ქმედებების ან უმოქმედობის გამო, რომლებიც წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევას წევრი სახელმწიფოების ფარგლებში, მოიცავს იმ კანონებსაც, რომლებიც ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს“. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ ინდივიდი შეიძლება დაზარალებულად განიხილებოდეს „ მიუხედავად იმისა, არის თუ არა დამნაშავე

იდენტიფიცირებული, დაპატიმრებული, სისხლის სამართლებრივ დევნაშია თუ ნასამართლევია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული ოჯახური ურთიერთობების მიუხედავად“. ტერმინი დაზარალებული შეიძლება მოიცავდეს „ოჯახის წევრებს ან მის დამცველ პირებს ,იმ პირებთან ერთად რომლებიც დაზარალებულების დახმარების შედეგად ან მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით დაზარალებულნი .დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია დაზარალებულთა მკურნალობის მინიმალური სტანდარტები სამართლის რამდენიმე ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით.ეს სხვებისგან მოითხოვს დაზარალებულს:

- მოექცნენ თანაგრძნობითა და ღირსების შელახვის გარეშე;
- იყვნენ ინფორმირებულები,ჰქონდეთ თავიანთი შეხედულებები და ინტერესები როგორც არის წარმოდგენილი მართლმსაჯულებაში;
- გაეწიოთ სათანადო დახმარება სამართლებრივი პროცესის მიმდინარეობისას;
- დაცულები იყვნენ დაშინებისა და შურისძიებისაგან
- საკუთარ პირად ცხოვრებაში ჩარევისგან;
- მიეცეთ საშუალება,რომ მონაწილეობა მიიღონ დავეების მოგვარების და შუამავლობის არაფორმალურ მექანიზმებში;
- მიეცეთ რესტიტუცია და კომპენსაცია მიყენებული ზიანის შესაბამისად; და
- გადაეცეთ საჭირო ნივთები ,სამედიცინო , ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება გაეწიოთ.

ძირითადი პრინციპები და სახემღმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევის და რეაგირების უფლებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების შესახებ,რომელიც გამოიცა 2005 წელს გენერალური ასამბლეის მიერ, თავის რეზოლუციაში 60/147, ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა დაზარალებულებს მოექცნენ ჰუმანურად და პატივისცემით,ასევე აღნიშნეს,რომ უნდა იყოს მიღებული შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი და მათი ოჯახების უსაფრთხოება , ფიზიკური,

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და ხელშეუხებლობა .საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები ასევე გვიჩვენებს იმ საშუალებებს ,რომელიც შესაძლებელს გახდის დაზარალებულთა უფლებების დაცვას. ეს ყოველივე მოიცავს დაზარალებულის უფლებას მართლმსაჯულების თანაბარი და ეფექტური ხელმისაწვდომობის შესახებ , დაზარალებულის სწრაფ და ეფექტურ დაცვას და სწრაფ რეაგირებას და შესაბამის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას სამართალდარღვევაზე რეაგირების მექანიზმების შესახებ. უფრო კონკრეტულად, ისინი ხაზს უსვამენ სახელმწიფოების იმ კონკრეტულ ვალდებულებებზე, რომლითაც მათ უნდა მოახდინონ ეფექტური რეაგირება მოქმედების ან უმოქმედობის პირობებში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევებზე ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევებზე ,განახორციელონ სპეციალური ეროვნული პროგრამები დაზარალებულების დასახმარებლად ,იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული მხარეები პასუხისმგებლები არიან მიყენებულ ზიანზე ,ან ვერ ახერხებენ ან არ სურთ საკუთარი ვალდებულებების შესრულება.

## ე) ტერორიზმი და საერთაშორისო სამართლის სხვა ასპექტები

### 1.ტერორიზმი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიცავს რიგ კანონებს ადამიანთა დაცვის შესახებ „შეიარაღებულ კონფლიქტისას“, ეს ტერმინი ნაცნობია როგორც შესაბამისი ხელშეკრულებებისთვის,ასევე საომარი მოქმედებების ჩატარების დროსაც. ეს კანონები შესულია რამდენიმე შეთანხმებაში,ყენევის 4 კონვენციაში და მათ 2 დამატებით ოქმში, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში,რომლებიც მიზნად ისახავენ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მიღებული ტანჯვისგან ადამიანის დახმარებას.



მათი ბევრი დებულება ახლა აღიარებულია ,როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი.<sup>15</sup>

არ არსებობს ტერორიზმის რამე განსაკუთრებული განმარტება,როგორც ეს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალშია მოცემული . თუმცა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს იმ ქმედებებს ,რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტის დროსაა ჩადენილი და რომელიც ტერორისტულ ქმედებად ჩაითვლებოდა თუ მშვიდობიანობის დროს მოხდებოდა.<sup>16</sup>

მაგალითად, მიზანმიმართული ძალადობრივი ქმედებები მოქალაქეების და სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ,წარმოადგენს საომარ დანაშაულებებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით,რის გამოც პირები შესაძლოა დაისაჯონ. ეს სამართალი წარმოსდგება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპიდან ,რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეების დაცვასთან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კერძოდ *განსხვავების პრინციპი*. ამ პრინციპის მიხედვით, კონფლიქტის ყველა მონაწილე უნდა გამოიყოს სამოქალაქო და მებრძოლ პირებად .არსებითად,ეს ნიშნავს,რომ თავდასხმები შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ სამხედრო მიზნებისთვის ანუ ის მიზნები , რომლებსაც თავიანთი ბუნებით, მდებარეობით, მიზნებით ან გამოყენებით ეფექტურ წვლილი შეაქვს სამხედრო სამსახურში და რომელთა სრულებითი ან ნაწილობრივი განადგურება ,დაჭერა ან ნეიტრალიზაცია იმ დროს არსებული პირობების გათვალისწინებით სამხედრო საქმის უპირატესობას წარმოადგენს .მოქალაქეები კარგავენ თავდაცვის უფლებას მაშინ როცა საომარ მოქმედებებში ერთვებიან.

უფრო მეტიც , განურჩეველი ხასიათის თავდასხმები მკაცრად აკრძალულია საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის შესაბამისად, ეს მოიცავს თავდასხმებს ,რომლებიც არ შეიძლება მიმართული იყოს კონკრეტულ სამხედრო მიზნებზე, ან გამოიყენოს მეთოდები ან საომარი საშუალებები, რომელთა ეფექტი არ შეიძლება შეზღუდული იყოს საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობით და შესაბამისად

აქვს შეტევითი მიზნები მოქალაქეების ან სამოქალაქო მიზნების განურჩევლად. განურჩეველი ხასიათის შეტევითი ქმედებები მოიცავს არაპროპორციულ თავდასხმებს, რომლებიც ასევე კანონით იკრძალება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აგრეთვე კრძალავს „ტერორისტულ ღონისძიებებს“ ან „ტერორისტულ ქმედებებს“. ეს აკრძალვები მიზნად ისახავს ინდივიდუალური დანაშაულებრივი ანგარიშვალდებულებების და კოლექტიური დასჯისგან დაცვას და „ყველა ზომის მიღებას დაშინებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ“. უფრო მეტიც, „ძალადობა ან მუქარა, რომლის ძირითადი მიზანი მოქალაქეებში ტერორიზმის შიშის გავრცელებაა“<sup>17</sup>, აგრეთვე მკაცრად იკრძალება ჰუმანიტარული სამართალით.<sup>18</sup> წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განცხადებით, სამხედრო ობიექტზე თუნდაც კანონიერმა თავდასხმამაც კი შეიძლება გამოიწვიოს შიში მოქალაქეებში, ეს დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებული მოქმედებების ჩატარებასთან ეძებენ მოქალაქეების დასაშინებელი გამიზნული ტერორისტული თავდასხმების აკრძალვის გზებს, მაგალითად დასაშინებელი მცდელობებია ქალაქის მოსახლეების დაბომბვის ან დაჭრის კამპანიები.<sup>19</sup>

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ჰუმანიტარული სამართლის გარდა, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართალი აგრძელებს ძალების გამოყენებას შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მხოლოდ ადამიანის უფლებათა შეთანხმებაში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით, არსებითად, ძირითადი განსხვავება ამ ორ სამართალს შორის არის ის, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი იცავს პირებს ყველა დროს, მაშინ როცა ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს საომარ ქმედებებს, ამის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავის კომენტარში N31 განაცხადა, რომ :

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში, რომელთა მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოყენება დასაშვებია. მაშინ, როდესაც

გარკვეულ პაქტთა უფლებების მიხედვით უფრო კონკრეტული ჰუმანიტარული სამართლის წესების გამოყენება შესაძლოა განსაკუთრებით მიზანშეწონილი იყოს პაქტის ინტერპრეტირებისას, სამართლის ორივე ფორმა არის დამატებითი და არა ურთიერთგამომრიცხავი.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ასევე დაადასტურა შეიარაღებული კონფლიქტების დროს პაქტის გამოყენების შესაძლებლობა, რომელშიც ნათქვამია, რომ „უფლებები არავის არ უნდა ჩამოერთვას თვითნებურად, ეს უფლებები ვრცელდება საომარი მოქმედებების დროსაც.<sup>20</sup> ის თუ რა არის ადამიანის უფლებების თვითნებურად ჩამორთმევა განისაზღვრება სპეციალისტების მიერ, კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტებისას გამოყენებული კანონის მიხედვით“.

ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიის კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების საკონსულტაციო დასკვნაში, სასამართლომ შეიარაღებული კონფლიქტის

დროს ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითა, სადაც განცხადებული იყო „ადამიანის უფლებათა კონვენციებით შემოთავაზებული დაცვა არ შეწყდება შეიარაღებულ კონფლიქტის დროსაც, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლში ნახსენები დებულებების პირობების დაცვით.<sup>21</sup> ბოლო ხანებში, სასამართლომ გამოიყენა როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კანონი, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და უგანდას შორის შეიარაღებულ კონფლიქტში.<sup>22</sup>

ტერორისტული ქმედებები, რომლებიც ჩადენილია შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებს გარეთ, ზოგადად წარმოადგენენ შიდა დანაშაულებებს და ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა სუნდა რეგულირდებოდეს შიდა და საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

## 2. ტერორიზმი და საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონი

ოთხი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო თანამეგობრობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, შეიმუშავა 13 კონვენცია ტერორიზმის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ. ეს ე.წ. სექტორული ინსტრუმენტები, რომლებიც ეხება თვითმფრინავის უკანონო ჩამორთმევასა და ტერორისტული დაბომბვების აღსაკვეთად მძევლების აყვანას, ხელს უწყობს ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ სამართლებრივი რეჟიმის დამყარებას და საერთაშორისო თანამშრომლობას უზრუნველყოფს. ისინი სახელმწიფოებისგან მოითხოვენ კონკრეტული ზომების მიღებას ტერორისტული ქმედებების თავიდან ასაცილებლად და ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებების აღსაკვეთად, მათ შორის ავალდებულებენ მონაწილე სახელმწიფოებს კონკრეტული ქცევის აკრძალვისკენ, იურისდიქციული კრიტერიუმების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებენ (მათ შორისაა კარგად ცნობილი პრინციპი *aut dedere aut judicare* ან ექსტადირება ან დევნა) და შექმნას ლეგალური საფუძველი ექსტრადაციისა და სამართლებრივი დახმარების შესახებ თანამშრომლობაზე.

ტერორიზმის სპეციფიკურ ასპექტებთან დაკავშირებული ეს ხელშეკრულებები განსაზღვრავს სპეციფიკურ ქმედებებს, როგორც დანაშაულებებს და მოითხოვს სახელმწიფოებისგან მათ აკრძალვას. მათ განეკუთვნება ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული დანაშაულებები, დაზარალებულების სტატუსზე დაფუძნებული დანაშაულებები (როგორცაა მძევლად აყვანა და საერთაშორისოდ დაცული პირების მიმართ დანაშაულებები), სამოქალაქო ავიაციასთან დაკავშირებული დანაშაულებები, გემებსა და თიქსირებულ პლატფორმებთან დაკავშირებული დანაშაულებები, სახიფათო მასალებთან დაკავშირებული დანაშაულებები<sup>23</sup>.

ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, ტერორიზმი მოიცავს ნებისმიერ ქმედებებს, რომელიც გამიზნულია მოქალაქეების სიცოცხლის მოსპობისა ან სერიოზული სახის სხეულის დაზიანებებისკენ, ან იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტისას არ იღებენ მონაწილეობას ისეთ საომარ მოქმედებებში, რომლის მთავარი მიზანი თავისი ბუნებით და

შინაარსით არის მოსახლეობის დაშინება, მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება ასეთი ქმედებებისგან თავშეკავებისგან. ეს ითვალისწინებს ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული კონკრეტული დანაშაულებების დაჯარიმებას.

უშიშროების საბჭომ უმაღლეს დონის პრიორიტეტად აღიარა საყოველთაო ანტიტერორისტული ინსტრუმენტების რატიფიცირება და ეფექტური განხორციელება. 2001 წლის 28 სექტემბერს, გაეროს წესდების მე-7 თავის მიხედვით მოქმედებამ, მიიღო რეზოლუცია 1373 (2001), რომელიც ცხადყოფს, რომ ყოველი ტერორისტული ქმედება უქმნის “საფრთხეს საერთაშორისო სიმშვიდესა და დაცულობას” და რომ ქმედებები, მეთოდები და ტერორიზმის პრაქტიკა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს“, რეზოლუცია აგრეთვე მოითხოვს ყველა სახელმწიფოსგან ტერორისტული ქმედებების აკრძალვას; ტერორისტული ქმედებების მომზადებების აკრძალვას; ტერორიზმის დაფინანსების აკრძალვას; ტერორისტული ქმედებების დეპოლიტიზირებას, კრძალავს იმ პირების გათავისუფლებას, რომლებიც იდენენ დანაშაულებებს ან აქვთ ტერორისტული ქმედებების ჩადენის მსჯელობა; და შეეცადონ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას სისხლის სამართლებრივ საკითხებში.

ტერორისტული ქმედების შინაარსის გათვალისწინებით, მათ შეიძლება მოიცვან საერთაშორისო სამართლის ქვეშ მყოფი დანაშაულებები. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში რომის წესდების შედგენისას, რამდენიმე დელეგაცია სასამართლოში ტერორიზმის ცალკე დანაშაულად გადატანაზე დაობდა. თუმცა, სახელმწიფოების უმრავლესობა არ დაეთანხმა ამაში დელეგაციას, კონკრეტულად დეფინიციის საკითხისდა გამო. 1998 წლის 17 ივლისს, რომში გამოიცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიპლომატიური კონფერენციის საბოლოო აქტი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაფუძნებაზე. მათი რეკომენდაციით საჭირო იყო მიმომხილველი რომის სტატუტის კომისიის მოწვევა, რომელიც მისი ძალაში შესვლიდან შვიდი წლის შემდეგ მოიწვეოდა, კერძოდ 2009 წელში, და რომელსაც უნდა განეხილა

რამდენიმე დანაშაულებივი ქმედება , მათ შორის ტერორისტული ქმედებები , სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულებების ჩამონათვალში მისაღები დეფინიციით და დანაშაულებრივ სისტემაში მათი ჩართვით.

მიუხედავად იმისა,რომ რომის წესდებაში ტერორიზმი,როგორც ცალკე დანაშაული არ არის შესული,ის შეიცავს სხვადასხვა დანაშაულს ,რომელიც ასევე შეიძლება შეიცავდეს ტერორიზმის ნიშნებს,თითოეული საქმის კონკრეტულ ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. ტერორისტული ქმედება წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს,იმ დანაშაულს,რომელიც რომის სტატუტის მე-7 მუხლითაა განსაზღვრული და შეიცავს გარკვეულ ქმედებებს ,რომლებიც ჩადენილია დიდ არეალში ან სისტემური შეტევის სახე აქვს და რომელიც მიმართულია ნებისმიერი მოსახლეობის მიმართ, თავდასხმის ცოდნით. <sup>24</sup>უფრო მეტიც, ისეთი ქმედებები ,როგორცაა მიზანმიმართული და განურჩეველი ხასიათის თავდასხმები მოქალაქეების ან მძევლად აყვანილებს შორის მიეკუთვნება საომარ დანაშაულებებს, როგორცაა განმარტებული რომის სტატუტის მე-7 მუხლში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის დებულებები ტერორიზმის წინააღმდეგ გამოყენებულია პრაქტიკაში საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ. 2003 წელს, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა პირველად ბრალი დასდო პირს საომარ დანაშაულებაში პასუხისმგებლობისდა გამო,რომელიც სარაევოს მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული, როგორც აღნიშნულია სტატუტის მე -3 მუხლში. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული დანაშაული შეიცავდა სხვა საომარი დანაშაულებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ,ამის გარდა იმ ელემენტებსაც , რომლებიც ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენციიდან გამომდინარეობდა<sup>25</sup>.

### 3.ტერორიზმი და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი

ადამიანის უფლებათა სამართლის ზოგადი ვალდებულებების პარალელურად, საერთაშორისო ლტოლვილთა სამართალი არის სამართალი, რომელიც უზრუნველყოფს ლტოლვილთა დაცვის კონკრეტულ სამართლებრივ ჩარჩოებს ლტოლვილობის ვადის განსაზღვრების გზით, მათ მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებების განსაზღვრას და მათთან მოქცევის სტანდარტების დამყარებას. საერთაშორისო ლტოლვილთა სამართლის ასპექტები დაკავშირებულია თავშესაფრის მაძიებელ პირებთან. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია და მისი 1967 წლის ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, წარმოადგენს საერთაშორისო ლტოლვილთა სამართლის ორ უნივერსალურ ინსტრუმენტს.

ტერორიზმი და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, ორივე ეფუძნება გაზომვად და აბაზანსეს პრინციპს, სწორედ ეს განაპირობებს სახელმწიფოების და მასპინძელი საზოგადოების ინტერესების დაცვას მაშინ, როცა იმ პირების უფლებებს იცავენ რომლებიც სხვა უცხოელებისგან განსხვავებით, აღარ სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის მხარდაჭერით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1373 (2001) წლის რეზოლუციაში უსაფრთხოების საბჭო წევს სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ გარკვეული ზომები ტერორისტული ქმედებების პრევენციისთვის, აღკვეთონ ტერორიზმის სხვადასხვა ფორმები, ამასთანავე ის ზომებიც, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაძლიერებას, მათ შორის კონტრტერორისტული ინსტრუმენტების ხელმოწერაზეა მითითება. რეზოლუცია ასევე ეხება იმიგრაციისა და ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ტერორისტული მოძრაობის პრევენცია ეფექტური სასაზღვრო კონტროლისა და იდენტიფიკაციის და მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტების მონესრიგების გზით. (პარაგრაფი 2 (გ)), სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებენ, რომ ის თავშესაფრის მაძიებლები, რომლებმაც დაგეგმეს, ხელი შეუწყვეს ან მონაწილეობა მიიღეს ტერორისტულ ქმედებებში დარწმუნდნენ, რომ არ აქვთ მიღებული ლტოლვილის სტატუსი. (პარაგრაფი (3)ფ), და

რომ ლტოლვილების სტატუსი არ არის ბოროტად გამოყენებული დამნაშავეების, ტერორისტული ორგანიზატორების ან ტერორისტულ მომმარაგებლების მიერ. (პარაგრაფი 3 (გ)).

აღსანიშნავია, რომ ლტოლვილის სტატუსის და თავშესაფრის მაძიებლების გათვალისწინებით, რეზოლუცია არ აწესებს ახალ ვალდებულებებს საერთაშორისო ლტოლვილთა სამართალში. 1951 წლის კონვენცია უკვე შეიცავს დებულებებს იმის დამადასტურებლად, რომ საერთაშორისო ლტოლვილთა დაცვის კანონი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ბიძგი მისცეს, მოამარაგეს ან ჩაიდინეს ტერორისტული დანაშაული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის ოფისის პოზიცია ის არის, რომ ტერორისტულ ქმედებებში პასუხისმგებელმა პირებმა არ უნდა ისარგებლონ ლტოლვილთა მექანიზმებით, რათა უსაფრთხო თავშესაფარი იპოვონ, ან არ დაისაჯონ. <sup>26</sup>საერთაშორისო ლტოლვილთა სამართალის ჩარჩო შეიცავს იმ დებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ძალადობისგან დაცვას და ამგვარად შესწევს უნარი მოახდინოს რეაგირება ტერორისტულ ქმედებებში პასუხისმგებელი პირების მიერ ლტოლვილთა მექანიზმების შესაძლო ბოროტად გამოყენებაზე.

პირველ რიგში, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭება მხოლოდ იმ პირს, ვინც აკმაყოფილებს ლტოლვილის დეფინიციის კრიტერიუმებს, 1951 წლის კონვენციის 1-ე მუხლის მიხედვით. ე.ი ისინი, „ვისაც აქვს რასისტული, რელიგიური, ეროვნული, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრების ან პოლიტიკური შეხედულების მიზეზით დევნის აშკარა შიში“. ხშირ შემთხვევაში, პირები, რომლებიც ტერორისტულ ქმედებებში პასუხისმგებელი პირები არიან არ ეშინათ დევნის, 1951 წლის კონვენციაში ასახული მიზეზის გამო, მაგრამ უფრო მათ მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებების გამო, რითაც ლეგიტიმური სისხლის სამართლებრივ დევნაში არიან.

მეორე მხრივ, 1951 წლის კონვენციის 1-ე მუხლის მიხედვით, პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ლტოლვილის კრიტერიუმებს



,საერთაშორისო ლტოლვილთა დაცვა არ შეეხებათ,თუკი არსებობს სერიოზული მიზეზები იმისა,რომ მათ დაუშვეს ომის დანაშაულებები,დანაშაულებები ადამიანების წინააღმდეგ ,სერიოზული არაპოლიტიკური დანაშაული ქვეყნის გარეთ თავშესაფარში ლტოლვილად ჩაბარების პერიოდში ან გაეროს მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებები ჩაიდინეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1-ლი თ მუხლის (ბ)ქვე მუხლი, რომელიც ეხება თავშესაფრის მაძიებლებს, რომელიც ლტოლვილად ჩაირიცხა ქვეყანაში და არაპოლიტიკური დანაშაული ჩაიდინა. ქმედებები, რომლებიც ტერორიზმის ნიშნებს ატარებენ სერიოზული არაპოლიტიკური ხასიათის დანაშაულებების რიგში შედიან . <sup>27</sup>გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა გამოსცა სახელმძღვანელო მითითებები 1951 წლის კონვენციის მიხედვით გამონაკლისი დებულებების გამოყენების შესახებ, სადაც აღნიშნავდა მათ განსაკუთრებულ ხასიათს და მათი საყოველთაო გამოყენების აუცილებლობას.

თავშესაფრის მაძიებელთა ტერორისტულ ქმედებებში სავარაუდო ჩართულობაზე მითითებები, აუცილებელს გახდის 1951 წლის კონვენციის 1თ მუხლის გამოყენების მოსინჯვის შესაძლებლობას , საერთაშორისო ლტოლვილთა კანონმდებლობა მოითხოვს ინდივიდუალური საქმის შინაარსისა და გარემოებების შეფასებას სამართლიანი და ეფექტური პროცედურების ჩატარებით ,გადაწყვეტილების მიღებამდე. თავშესაფრის მაძიებელთა მიღებაზე ნებისმიერი უარყოფა, მათ შორის მათი საზღვრებში ან შესვლის პუნქტებში შემვებაზე უარის თქმის შედეგად ისინი შეიძლება დააბრუნონ წარმოშობის ქვეყანაში,რათა დევნის ობიექტი არ გახდეს,ეს კი ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა კანონების მიხედვით იკრძალება. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მიხედვით, ყველა ადამიანს შეუძლია მოიძიოს თავშესაფარი.

მესამე, პირები,რომლებიც ლტოლვილებად და თავშესაფრის მაძიებლებად არიან აღიარებულები და ელოდებიან მათ განცხადებებზე რეაგირებას , ვალდებულებას იღებენ დაემორჩილონ მასპინძელი ქვეყნის კანონებს და წესებს, როგორც აღნიშნულია 1951

წლის კონვენციის მეორე მუხლში, თუ ისინი ამ ვალდებულებებს არ შეასრულებენ, კანონის თანახმად სამართლებრივ დევნაში მოექცევიან.

გარდა ამისა, 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არსებობს არაიძულებითი დაბრუნების პრინციპი, უკან ჩაბარებისას დაცვის გაუქმებაზე უარის თქმა და წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს საფუძველი იმისა, რომ ლტოლვილის ჩასვლა იმ ქვეყანისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს ან თუ ის სერიოზული დანაშაულის ჩამდენი პირია და საფრთხეს უქმნის მასპინძელ ქვეყანას. საბოლოო ჯამში, 1951 წლის კონვენცია ნაციონალური უსაფრთხოების მიზეზების გამო ქვეყნიდან მესამე ქვეყანაში გაძევების შესაძლებლობაზე მიუთითებს ეროვნული უსაფრთხოების საფუძველიდან გამომდინარე 32-ე მუხლის თანახმად. ამ მუხლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილების მიღების შედეგად კანონით დადგენილ სათანადო წესების გათვალისწინებით, მათ შორის მოსმენისა და გასაჩივრების უფლებებითაც. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ 1951 წლის კონვენციის 32 ან 33 (2) მუხლებში შეტანილი შეზღუდვების გამოყენება ექვემდებარება სახელმწიფოს სხვა ადამიანის უფლებათა ვალდებულებებს, კერძოდ, წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-3 მუხლისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლს, რომლის დაცვა აუცილებელია.

თუ პირს 1951 წლის კონვენციით უკვე მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი, ასეთი სტატუსი შესაძლოა გაუქმდეს, თუკი, პირველ რიგში არსებობს საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ პირი არ უნდა ყოფილიყო აღიარებული ლტოლვილად. ეს არის შემთხვევა, როდესაც არსებობს მითითებები, რომ თავდაპირველი გადაწყვეტილებების მიღებისას განმცხადებელმა ვერ დააკმაყოფილა 1951 წლის კონვენციაში შესული კრიტერიუმები ან კონვენციის გამონაკლისი პუნქტი არ ამოქმედდა ამ პირისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს მტკიცებულებას, რომ ამ პირმა ტერორისტული ქმედება ჩაიდინა.<sup>28</sup> ლტოლვილის სტატუსის გაუქმება შეესაბამება 1951 წლის კონვენციის მიზნებსა და პრინციპებს, თუ იგი

შეიქმნა სათანადო პროცედურების დაცვით და პირი ლტოლვილის სტატუსის აღიარებამდე არ ატარებს უკვე ამ სტატუსს.

კონტრტერორიზმისა და სახელმწიფოთა მიერ მიღებულ ეროვნული უსაფრთხოების ზომებს, ზოგ შემთხვევაში ჰქონდა უარყოფითი გავლენა ლტოლვილთა დაცვის საკითხში. ეს მოიცავს უხეშად შეზღუდულ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს, თავშესაფრებზე ხელმისაწვდომი პროცედურების ნაკლებობას, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა აკრძალვას, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საზოგადოებრივ აღქმაზე.

## II. ადამიანის უფლებები და კონტრტერორიზმი

როგორც ნაჩვენებია პირველ თავში, ტერორიზმი პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე. ამგვარად, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, მიიღონ ეფექტური კონტრტერორისტული ზომები. თუმცა, ტერორიზმთან ბრძოლის მცდელობაში სახელმწიფოებისა და სხვების წინაშე გამონვევების სირთულე და სიდიდე მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მოქნილია საკმარისად, რომ გაუმკლავდეს მას. ეს თავი ყურადღებას გაამახვილებს კონტრტერორიზმსა და ადამიანის უფლებათა შორის ურთიერთობაზე, განიხილავს უფრო დეტალურად სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რათა დაადასტუროს, რომ ყველა კონტრტერორისტული ღონისძიება შეესაბამება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. (

ნაწილი ა) და თუ როგორ უმკლავდება ადამიანის უფლებები გამონაკლის შემთხვევებს (ნაწილი ბ).

#### ა. ტერორიზმთან ბრძოლაში ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა და დაცვა

ისევე, როგორც ტერორიზმი მოქმედებს უარყოფითად ადამიანის უფლებებზე და საზოგადოების ფუნქციონირებაზე, ასევე შეუძლიათ სახელმწიფოს მის წინააღმდეგ ზომების მიღება. როგორც ზემოთ აღინიშნა ტერორიზმი სერიოზულ გავლენას ახდენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა მთელ რიგზე, ამიტომ სახელმწიფოების მხოლოდ უფლება კი არა, მოვალეობაცაა მის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების გატარება. ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების გატარება და ადამიანის უფლებათა დაცვა არის ერთმანეთის შემავსებელი, ურთიერთგამაძლიერებელი ამოცანები, რომლებსაც უნდა მისდიონ სახელმწიფოებმა, როგორც მათი მოვალეობის ნაწილს და დაიცვან პირები თავისი იურისდიქციის ფარგლებში.

როგორც მოცემულია პირველ ნაწილში, ე სექციაში, უშიშროების საბჭომ 2011 წლის სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ სწრაფად იმოქმედა, რათა ტერორიზმის საშიშროების თავიდან ასაცილებლად გაეძლიერებინა საერთაშორისო თანამშრომლობა და საერთო მიდგომები ისეთ ადგილებში, სადაც ხდებოდა ტერორიზმის დაფინანსება, მათ უნდა შეემცილებინათ ტერორისტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღების გამოყენების რისკი და სამართალდამცავი ორგანოების მიერ საზღვრისპირა ინფორმაციის გაზიარება გაეუმჯობესებინათ, აგრეთვე დაეფუძნებინათ მონიტორინგის ორგანო, კონტრტერორისტული კომიტეტი, რათა განეხორციელებინათ ზედამხედველობა. რეგიონული მიდგომები ასევე შემუშავდა აფრიკის კავშირის, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, არაბეთის ქვეყნების ლიგის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის, სამხრეთ აზიური ასოციაციის და სხვა ორგანიზაციების მიერ.

1373 (2001) წლის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების შემდეგ, მსოფლიოში უსაფრთხოების დაცვის, კონტრტერორისტული კანონმდებლობისა და პოლიტიკის კუთხით მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა, მათმა დიდმა ნაწილმა მოახდინა გავლენა ადამიანის უფლებების დაცვაზე. ბევრმა ქვეყანამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებების შესრულებისას ნაჩქარევი საკანონმდებლო და პრაქტიკული ღონისძიებების გატარებით, უარყოფითი შედეგები გამოიწვია

სამოქალაქო თავისუფლებებისა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე. ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი საკითხები და სახელმწიფოებისთვის ადამიანის უფლებათა სამართლით დაკისრებული ვალდებულებები ტერორიზმის დასამარცხებლად მიღებული ზომების შესახებ ხაზგასმული იქნება მე-3 თავში.

ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფო ვალდებულებების ცენტრალური როლი  
ტერორიზმთან ბრძოლის დროს

საერთაშორისო თანამეგობრობა მზად არის მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების პატივისცემას და კანონის უზენაესობას როგორც ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური საფუძვლისა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, გენერალური ასამბლეის მიერ გამოცემულ რეზოლუციაში 60/288 გაეროს გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგიის მიღების საშუალებით. წევრმა ქვეყნებმა გადანვიტეს მიეღოთ ზომები, რომელთა მიზანიც ტერორიზმის გავრცელების ხელშემწყობ გარემოებებზე მითითება იყო, მათ შორის კანონის არარსებობისა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე, მათ უნდა დაადასტურონ, რომ ნებისმიერი ზომა, რომელიც ტერორიზმის სანაღმდეგოდ მიიღება შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებს, კონკრეტულად კი ადამიანის უფლებათა, ლტოლვილთა და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

2004 წელს, საფრთხეების, გამოწვევებისა და ცვლილებების შესახებ მაღალი დონის პანელი იტყობინებოდა, რომ საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებში განვრცოვანი გამომწვეული იყო სიღარიბით, ოკუპაციით, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის არარსებობით.<sup>29</sup>

2005 წლის გენერალური ასამბლეის მიერ მსოფლიო სამიტზე მიღებულმა შედეგმა, აგრეთვე, ტერორიზმთან ბრძოლის დროს ადამიანის უფლებათა პატივისცემის საკითხზე გაამახვილა ყურადღება და დაასკვნა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები და ოქმებიცაა გათვალისწინებული. გენერალურმა ასამბლეამ და ადამიანის უფლებათა კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ნებისმიერი სახის ღონისძიება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ლტოლვილთა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან შესაბამისად. უშიშროების საბჭომაც იგივე გააკეთა, ჯერ დაიწყო 1456(2003) რეზოლუციაში მითითებული დეკლარაციით, რომელშიც უშიშროების საბჭო, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეხვედრისას განაცხადა, რომ „სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ნებისმიერი ღონისძიება საერთაშორისო სამართალთან შესაბამისად და უნდა მიიღონ ასეთი ზომები საერთაშორისო სამართლის მიხედვით, კონკრეტულად კი, როგორც ადამიანის უფლებათა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარულ სამართალშია მოცემული“. ეს პოზიცია დადასტურდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში 1624 (2005). მის 2006 წლის ანგარიშში „ტერორიზმის წინააღმდეგ გაერთიანება“: „გლობალური კონტრეტერორისტული სტრატეგიის შემუშავების რეკომენდაციები“ (ა/60/825), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აღწერს ადამიანის უფლებებს, როგორც არსებითს კონტრეტერორისტული სტრატეგიის ყველა ასპექტისთვის და აგრეთვე აღნიშნავს, რომ

ეფექტური კონტრეტორისტული ზომები და ადამიანის უფლებების დაცვა არ წარმოადგენს კონფლიქტის გამონწვევის მიზანს, არამედ დამატებით და ორმხრივად გამამყარებელ ფაქტორს. საყოველთაო და რეგიონალურ ხელშეკრულებებზე დაფუძნებულმა ორგანოებმა ასევე ისიც აღნიშნეს, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული ღონისძიებების კანონიერება დამოკიდებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან მათ შესაბამისობაზე.<sup>30</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გლობალური კონტრეტორისტული სტრატეგია კიდევ ერთხელ ადასტურებს კავშირს ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხოებას შორის და ეროვნული და საერთაშორისო კონტრეტორიზმის მცდელობებში კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემას გამოხატავს. სტრატეგიის მეშვეობით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ადამიანის უფლებების პატივისცემა და კანონის უზენაესობის დაცვა, როგორც ტერორიზმთან ბრძოლის ფუნდამენტური საფუძველისა. ეფექტური იქნებოდა თუ მოხდებოდა ნაციონალური კონტრეტორისტული სტრატეგიის შემუშავება, რომლებიც შეძლებდნენ ტერორისტული ქმედებების შეკავებას და დაასახელებდნენ მის გამავრცელებელ გარემოებებს; კრიმინალური ქმედებების ჩამდენი პირების სისხლისსამართლებრივი დევნის და კანონიერი ექსტრადირების უფლება მხოლოდ პასუხისმგებელ პირებს აქვთ; მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოებაში მოქალაქეების ჩართულობას და ყურადღება გაამახვილონ დაზარალებულთა უფლებების დარღვევებზე.<sup>31</sup>

ტერორიზმთან ბრძოლისას მხოლოდ ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და დაცვა არ კმარა, არამედ სახელმწიფო ვალდებულია, რომ ნებისმიერი კონტრეტორიზმის საწინააღმდეგო ღონისძიება, რომელსაც ისინი მიიღებენ შესაბამისობაში იყოს ადამიანის უფლებათა სამართლით გათვალისწინებული პირობებთან.

გენერალურმა ასამბლეამ 1972 წლის დეკემბრიდან მიიღო სერია რეზოლუციებისა, ტერორიზმის შესახებ, სადაც მითითებული იყო ის ღონისძიებები, რომლებიც

აღმოფხვრიდნენ ტერორიზმს და დაარეგულირებდნენ ადამიანის უფლებებსა და ტერორიზმს შორის ურთიერთობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საერთაშორისო, ადამიანის უფლებათა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმებთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს მთავარ პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება წარმოადგენს, მათ შორის შედის ტერორიზმით გამოწვეული საშიშროება, როგორც მშვიდობიანობისა და უსაფრთხოებისთვის საშიში გარემოება. უშიშროების საბჭომ მიიღო არა ერთი კონტრტერორისტული ზომა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, სახელმწიფოების წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ფორმით მიღებული ზომები, თუკი ითვლება, რომ სახელმწიფოებს რაიმე სახის კავშირი აქვთ კონკრეტულ ტერორისტულ ქმედებასთან (განსაკუთრებით 1990 იანვარში) და მოგვიანებით თალიბანის დაჯგუფებასა და ალ ქაიდასთან, ისევე როგორც ამ სანქციების მაკონტროლებელი კომიტეტების დაფუძნების საქმეში განხორციელებული ღონისძიებები. 2001 წელს მათ მიიღეს რეზოლუცია 1373(2001), რომელიც ავალდებულებდა წევრ სახელმწიფოებს ტერორისტული საქმიანობების თავიდან აცილებასა და მისი სხვადასხვა ფორმების აღმოფხვრას, მათ უნდა გაეტარებინათ მთელი რიგი ღონისძიებები და მოუწოდებდა შესაბამისი ზომების მიღებისკენ, ქვეყნებს შორის კავშირის გასამაგრებლად, მათ შორის კონტრტერორისტული ხელშეკრულებების ხელმოწერებით. წევრი სახელმწიფოები ვალდებულები არიან რეგულარულად აცნობონ პროგრესის თაობაზე კონტრტერორისტულ კომიტეტს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უშიშროების საბჭომ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა, რომ მათ მიერ მიღებული ზომები საერთაშორისო სამართალთან, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ზოგიერთი დებულების შესაბამისად უნდა გაეტარებინათ. <sup>32</sup>მის რამდენიმე რეზოლუციაში უშიშროების საბჭომ მოხსენებაში





დასაწყისში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონტრტერორიზმის ზომების ძირითადი ნაწილი აღებულია რიგითი კანონმდებლობისაგან. გამონაკლის შემთხვევებში, ზოგიერთი შემლუდვა ადამიანის უფლებების ზოგად ნაწილზე ნებადართულია.

ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და დაცვა, ეფექტური კონტრტეროსისტული ზომების მიღება, ამ ყოველივეს უზრუნველყოფა სერიოზული პრაქტიკული გამოწვევების წინაშე აყენებს სახელმწიფოებს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი იმ სირთულისა, რომელსაც სახელმწიფოები წააწყდნენ, იყო სადაზვერვო წყაროების დაცვისას წამოჭრილი სირთულეები, რაც მოითხოვდა ტერორიზმის შესახებ მტკიცებულებების გამომჟღავნებას მოსმენებზე, ამავე დროს უნდა პატივი უნდა ეცათ მიმდინარე სასამართლო პროცესისთვის და სასამართლო სხდომისთვის.

ეს გამოწვევები არ არის დაუძლეველი. სახელმწიფოებს შეუძლიათ ეფექტურად შეასრულონ დაკისრებული ვალდებულებები საერთაშორისო სამართლით ადამიანის უფლებათა ჩარჩოში მოქცეული მოქნილობის გამოყენებით. ადამიანის უფლებები გარკვეული შემლუდვების საშუალებას იძლევა ადამიანის უფლებებში, და გამონაკლის შემთხვევებში ადამიანის უფლებების გარკვეული დებულებებიდან გადახვევების უფლებას. ეს ორი სახის შემლუდვა სპეციალიურად შემუშავებულია იმისთვის, რომ სახელმწიფოები საჭირო მოქნილი უფლებებით მოამარაგონ რათა, ამ გამონაკლის შემთხვევებს გაუმკლავდეს, ამავე დროს კი გათვალისწინებული რაოდენობის პირობები შესრულდეს - საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლის ნორმების გათვალისწინებით.

## 1. შემლუდვები

როგორც მოცემულია საერთაშორისო ადამიანის უფლებათა კონვენციებში, სახელმწიფოებს შეუძლიათ კანონიერად შემლუდონ გარკვეული უფლებების გამოყენება, მათ შორის იმ უფლებებისა, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლების უფლება, გადაადგილების თავისუფლება და პირადი

ცხოვრების და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა. ასეთი შეზღუდვების დაწესებისას, სახელმწიფომ ,რომ არ დააკნინოს ადამიანის უფლებები უნდა გაითვალისწინოს გარკვეული გარემოებები. <sup>33</sup>თანასწორობისა და დისკრიმინაციის პრინციპების პატივისცემის გარდა, შეზღუდვები უნდა დადგინდეს კანონით, ერთი ან მეტი კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

#### (ა) კანონით დანიშვნა

საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი ადამიანის უფლებების დამცავი მექანიზმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით ნებისმიერი ღონისძიება ,რომელიც ზღუდავს უფლებებს უნდა განისაზღვროს კანონით დადგენილი წესით.<sup>34</sup> კანონით განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი : ა) კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ადამიანებისთვის, რათა ადამიანებს ჰქონდეთ ადეკვატური მითითება, თუ როგორ მოქმედებს მათი უფლებებზე კანონი და ბ) კანონი უნდა იყოს ჩამოყალიბებული საკმარისი სიზუსტით, რათა პირებს შეეძლოთ თვითონ დაარეგულირონ თავიანთი საქციელი.<sup>35</sup>

უფრო მეტიც, ნებისმიერი სისხლის სამართლის აკრძალვა უნდა შეესაბამებოდეს არარეტროაქტიურობის პრინციპს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე -15 მუხლის მიხედვით, დანაშაულის განმსაზღვრელმა ნებისმიერმა დებულებამ არ უნდა აკრძალოს ის ქმედება, რომელიც ამ დებულების ძალაში შესვლამდე იყო ჩადენილი. ამის მსგავსად, ნებისმიერი ჯარიმა უნდა შეიზღუდოს იმ დროისთვის, როდესაც დანაშაული უკვე ჩადენილია და თუ კანონი შემდგომში ითვალისწინებდა მსუბუქი სასჯელის დაკისრებას , დამნაშავეს უნდა მისცემოდა მსუბუქი სასჯელი მისდა სასარგებლოდ.<sup>36</sup>

#### (ბ) ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ძიებაში

ადამიანის უფლებებში ჩარევისთვის ნებადართული ლეგიტიმური მიზნები, განსხვავდება სხვა უფლებებისგან ადამიანის უფლებების სავარაუდო შეზღუდვების გათვალისწინებით, ისევე როგორც განხილვის პროცესში მყოფი ადამიანის უფლებების ხელშეკრულებებით. ესენია ეროვნული უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანმრთელობა, მორალი და სხვა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.<sup>37</sup>

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ამოცანა ხშირად გაგებულია, როგორც სახელმწიფოებისთვის სხვა ტერიტორიებზე ძალაუფლების გაფართოების საბაზი.<sup>38</sup> დანაშაულებები, რომლებიც არ ითვლება ტერორისტულ დანაშაულებად, მიუხედავად იმისა თუ რამდენად სერიოზულია ის, არ უნდა იყოს კონტრტერორისტული კანონმდებლობის საგანი, არ უნდა ატარებდეს ტერორიზმისთვის დამახასიათებელ თვისებებს და არ უნდა წარმოადგენდეს სხვა კონტრტერორისტული ნაბიჯის საბაზს, მიუხედავად იმისა ჩადენილია თუ არა იმ პირის მიერ, რომელიც უკვე ეჭვმიტანილია ტერორისტულ ქმედებაში. კიდევ ერთხელ რომ განვმეორდეთ, ეს მოთხოვნა აისახება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ დოკუმენტებში.<sup>39</sup>

### (გ) აუცილებლობა და პროპორციულობა

ის, რაც არის ხშირად მოხსენიებული როგორც “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”, არის დამატებითი დაცვა, რომელიც მოითხოვს სახე ლმწიფოებისგან იმის დემონსტრირებას, რომ, შეზღუდვები ხელს არ უშლის საზოგადოების დემოკრატიულ ფუნქციონირებას. პრაქტიკაში, ეს ნიშნავს, რომ ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ აუცილებლობის გამოცდას და პროპორციულობის მოთხოვნას. ამრიგად, ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებებზე ნებისმიერი სახის შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს

სერიოზული მიზნის მისაღწევად და მისი ზემოქმედება იმ უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ მკაცრად პროპორციულია ამ მიზნის ბუნებასთან.

- ზოგადად, ადამიანის უფლებებზე, უსაფრთხოებაზე და საერთაშორისო და საშინაო საზოგადოებების ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტებზე ტერორიზმის ზემოქმედება, არ ბადებს ეჭვს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი მიზანია, რომელიც უშვებს ზოგიერთი უფლების შეზღუდვას. თუმცა, უნდა იყოს გამართლებული ის ფაქტი, რომ ასეთი სახის შეზღუდვის დაწესებამ უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა მოთხოვნა. გარკვეული კონტრტერორისტული ზომების მიღების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც დავასკვნით, რომ უფლებას შესწევს კონტროლის უნარი და რომ შემზღუდველი ღონისძიება მხოლოდ კონკრეტული პროცედურული დაცვის საფუძველზე ხდება.

აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს გონივრული კავშირი შემზღუდველ ღონისძიებასა და კონკრეტულ მიზანს შორის. გონივრული კავშირის არსებობა, ჩვეულებრივ, დაიშვება თუ ღონისძიება არის მიზანშეწონილი და ობიექტური, თუმცა ამასთან დაკავშირებით უფრო მეტი მტკიცებულება შეიძლება იყოს საჭირო, თუ ასეთი სახის კავშირი არ არის თვალსაჩინო.<sup>41</sup>

ამ თვალსაზრისით და გარკვეული ობიექტური ზომების მიღების აუცილებლობის განსაზღვრისთვის, კარგი იქნება თუ განვსაზღვრავთ: თუ რამდენად არის ღონისძიება დაკავშირებული სახელმწიფოს წინააღმდეგ ტერორიზმის მოხდენის ფაქტობრივ ან პოტენციურ საფრთხესთან; თუ როგორი წვლილი შეაქვს ამ ღონისძიებას საერთაშორისო და რეგიონალურ ჩარჩოებში კონტრტერორიზმისთვის, ისევე როგორც სუბსიდიურად; და ასევე თუ რა წვლილი შეაქვს სახელმწიფოების სხვა ეროვნულ ინტერესებში.<sup>42</sup>

(დ) დასაშვები შეზღუდვების მაგალითი

ადამიანის უფლებების ვალიდური შეზღუდვების მოთხოვნები ილუსტრირებულია ტერორიზმის წახალისებისა და თავისუფლების გამოხატვის კონტექსტში, რომელიც კარგადაა განხილული მე-3 თავში. ტერორიზმისადმი წაქეზების აკრძალვა გულისხმობს ადამიანის უფლების შეზღუდვას აზრის ნება სურვილისამებრ გამოხატვისას. ნებისმიერი სახის შეზღუდვა ტერორიზმის წახალისების წინააღმდეგ უნდა ექვემდებარებოდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ლეგიტიმურ ნორმებს ; ეს შეზღუდვა კანონიერად უნდა იყოს ჩანერგილი; უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მატარებელი; და უნდა იყოს ორივე როგორც სავალდებულო ასევე პროპორციული.

პირველი მოთხოვნაა ,რომ ნებისმიერი შეზღუდვა კანონიერი უნდა იყოს, ნიშნავს იმას ,რომ ტერორიზმის წახალისების საწინააღმდეგო შეზღუდვებმა კანონმდებლობით უნდა მიიღონ დებულების ფორმა .რაც შეეხება ლეგიტიმურ მიზანს, ტერორისმიზსადმი წაქეზების გამოხატვა შეესაბამება ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას,რომლებიც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლებს წარმოადგენენ. ტერორიზმისადმი წაქეზების აკრძალვა ასევე შეესაბამება მე-20 მუხლის მე-2 პუნქტს , რომელიც მოითხოვს სახელმწიფოებისგან ეროვნული, რასობრივი, თუ რელიგიური სიძულვილის ხელშეწყობის აკრძალვას, რაც დისკრიმინაციის ,მტრობის ან ძალადობის წახალისებას გულისხმობს.

აუცილებლობისა და პროპორციულობის საბოლოო მოთხოვნა კანონმდებლობაში ნაჩვენები და გამოყენებული აკრძალვის რელევანტურია. ტერორიზმისადმი წაქეზების ამკრძალველი კანონი ისე უნდა იყოს გამოხატული ,რომ არ დააკნინოს

ლეგალურობის პრინციპი და ცხადყოს,რომ იგი შეზღუდულია საკანონმდებლო მიზნების გამო.

სამოქალაქო და პოლიტიკური საერთაშორისო შეთანხმების მე-19 მუხლი ზღუდავს მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებას ,რომელიც მე-3 აბზაცში მოცემული მიზნების მისაღწევადაა საჭირო. ტერორიზმისადმი წახალისების აკრძალვა ,შესაბამისად, უნდა

შემოიფარგლებოდეს იმით, თუ რა არის რეალურად საჭირო ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის. დებულება და მისი გამოყენების მეთოდი ასევე უნდა იყოს პროპორციული, ე.ი თითოეულ ღონისძიებისთვის, უნდა განისაზღვროს უფლების ან თავისუფლების მნიშვნელობა, ღონისძიების გავლენა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებაზე თუ რამდენად პროპორციულია იმ მიზანთან და რამდენად ეფექტურია ეს ღონისძიება ამ მიზნის მისაღწევად.<sup>43</sup> ნებისმიერი ღონისძიების ხარისხი დამოკიდებული იქნება ტერორიზმთან ბრძოლის მიზანზე, ისევე როგორც მის პოტენციურ ეფექტიანობაზე. ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით, უფლებებსა და თავისუფლებებზე შეზღუდვების დანესება არაეფექტური საშუალებებით სავარაუდოდ არ არის გამართლებული. ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებაზე ტერორიზმის საწინააღმდეგო ღონისძიებების გავლენის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დეტალები, თუ რა ღონეზე და რა ხარისხით ხდება ადამიანის უფლებების და თავისუფლების შეზღუდვა.<sup>44</sup>

## 2. გადახვევები

შეზღუდული გარემოებების პირობებში, როგორცაა სახელმწიფო საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს, სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ კონკრეტული ადამიანის უფლებებიდან ღონისძიებების გატარების საფუძველზე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, მისი მე-4 მუხლი ადგენს ფორმალურ და არსებით მოთხოვნებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს, რათა კანონიერად გადაუხვიოს შეთანხმების კონკრეტული ვალდებულებებისგან.<sup>45</sup> საგანგებო მდგომარეობა უნდა იქნას გაგებული, როგორც ნამდვილი გამოწვევის, დროებითი ღონისძიება, რომელიც შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ნამდვილი საფრთხე ერის ცხოვრებაში. ასეთი უკიდურესი სიტუაციების დროს სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს და

განახორციელოს ეფექტური და შიდა კანონმდებლობა და სხვა ზომები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნის შუამავლის მეშვეობით სახელმწიფომ, რომელმაც გადაუხვია კანონს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სხვა მონაწილე სახელმწიფოებს პაქტის იმ დებულებების შესახებ, საიდანაც მან გადაუხვია და რის საფუძველზე მოხდა ესე. უფრო მეტიც, მონაწილე სახელმწიფო უნდა გაუმკლავდეს იმ სიტუაციას, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ერისთვის და შეუძლია გაატაროს მხოლოდ ისეთი ღონისძიებები, როგორსაც სიტუაცია მოითხოვს. ეს მოთხოვნა დაკავშირებულია ჩარევის ხარისხთან, ასევე ტერიტორიული და დროებითი სახის ფარგლებზე, სადაც ეს ზომები უნდა იქნას მიღებული. ეს გულისხმობს, რომ საგანგებო მდგომარეობის არსებობა და გადახვევებზე ზომების მიღება უნდა განიხილებოდეს დამოუკიდებელი ორგანოების მიერ, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების მიერ. მიღებული ზომები ასევე უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალში მოცემულ ვალდებულებებს, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში და საერთაშორისო სამართლის პრეტორულ ნორმებს.

(ა) არა-დეროგატიული ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებებიდან გადახვევა საერთაშორისო ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა სამართლით აკრძალულია, თუნდაც საგანგებო მდგომარეობის დროს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი არადეროგატიულად განსაზღვრავს სიცოცხლის უფლებას, წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან ან სასჯელისგან თავისუფლებას, მონობისა და ყმობის წინააღმდეგ აკრძალვას, კონტრაქტის ჩაშლის შედეგად პატიმრობისაგან გათავისუფლებას, რეტროსპექტიული სასჯელისაგან გათავისუფლებას, კანონის წინაშე პიროვნების აღიარებას, აზრის სინდისისა და



რელიგიის თავისუფლებას. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, თავის ზოგად კომენტარში N29 ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროცედურულ გარანტიებთან დაკავშირებული პაქტის დებულებები არასდროს ექვემდებარება ღონისძიებებს, რომლებიც შეეცდებოდნენ ამ არადეროგატიული უფლებების დაცვის თავიდან აცილებას. ადამიანის უფლებათა რეგიონულმა კანონმდებლობამ ხაზგასმით აღნიშნა პროცედურული გარანტიების მნიშვნელობა. მაგალითად, ადამიანის უფლებათა საერთო-ამერიკულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ჰაბეას კორპუს აქტის და ამჰარო“ , იმ სასამართლო გამონაკლისებს შორისაა, რომლებიც არსებითია სხვადასხვა უფლებების დაცვისთვის და რომელთა გადახვევა აკრძალულია..... და ის რაც ემსახურება დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერების შენარჩუნებას.... წვერი სახელმწიფოების კონსტიტუციების და სამართლებრივი სისტემები, რომლებიც უფლებამოსილებას იღებენ ჰაბეას კორპუსისა და ამჰაროს სამართლებრივი დახმარებისას არ შეიძლება პაქტის მიერ სახელმწიფოებისთვის დაკისრებულ მოვალეობად ითვლებოდეს.<sup>46</sup>

პაქტის მე-4 მუხლის 1 -ლი პუნქტი არადეროგატიული უფლებების ამ ჩამონათვალში მიუთითებს, რომ ნებისმიერი დაუმორჩილებელი ღონისძიება არ უნდა იყოს შეუსაბამო საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, რომლებიც როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავის N 29 კომენტარში აღნიშნა, მოიცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. კომიტეტმა ასევე დაასახელა უფლებები და თავისუფლებები ჩვეულებითი სამართლის მიხედვით (რომელიც ყველა სახელმწიფოსათვის გამოიყენება) , რომელიც არ შეიძლება იყოს გადახვეული უფლებებიდან იმ შემთხვევაშიც კი , თუ არ არის ჩამოთვლილი მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე ჩვეულებითი სამართლის უფლებებიც დაასახელა : ყველა ადამიანის უფლებათა მოეპყრონ პატივისცემით, მიუხედავად იმისა თუ მას თავისუფლება აქვს აღკვეთილი; უნდა აიკრძალოს მძევლად აყვანის, გატაცების, დაკავების უფლებები; დაცული უნდა იყოს

უმცირესობის უფლებები; მოსახლეობის ძალადობრივი გადაცემა ან დეპორტაცია საერთაშორისო კანონმდებლობის ნებართვის გარეშე უნდა აკრძალოს; ომის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის აკრძალვა, ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ხელშეწყობა უნდა იკრძალებოდეს, რომლებიც წარმოადგენენ დისკრიმინაციას, მტრობის ან ძალადობის პროპაგანდას.

საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებთან შესაბამისობა ასევე ხელს უშლის არაგონივრული ქმედებების განხორციელებას, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ინდივიდუალურ დანაშაულებრივ პასუხისმგებლობაზე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე. როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლება მკაფიოდ არის გარანტირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობით შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები ასევე უნდა იყოს დაცული საგანგებო მდგომარეობის დროსაც. შესაბამისად, კანონიერების და კანონის უზენაესობის პრინციპების პატივისცემა, ამ უფლებების დაცვა, რომლებიც აღიარებულია, როგორც არადეროგატული, მოითხოვს რომ, ყველა პროცედურული გარანტია, მათ შორის საკანონმდებლო გარანტია, ყველა სიტუაციაში იყოს ხელმისაწვდომი. კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ კანონის უზენაესს შეუძლია დაადანაშაულოს პირი დანაშაულისთვის და უდანაშაულობის პრეზუმფციაც იყოს გათვალისწინებული. იმისთვის, რომ დაცული იყოს დეროგატული უფლებები, სასამართლოში გასაჩივრების უფლება (საშუალება მისცეს სასამართლოს გადადების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება დაკავების კანონიერებაზე) არ უნდა იყოს დაკნინებული მონაწილე სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, რომელიც პაქტის უფლებებიდან გადახვევას ნიშნავს.

(ბ) რა არის „საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს?“

პაქტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით უფლებებიდან გადახვევის შესაძლებლობა მხოლოდ „საგანგებო მდგომარეობის დროსაა დასაშვები, რაც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ზოგადი კომენტარით N 29 გამოავლინა ისეთი სახის საგანგებო მდგომარეობა, რომელიც არის განსაკუთრებული ხასიათის. არა ყოველი არეულობა ან კატასტროფა კვალიფიცირდება როგორც ასეთი . კომიტეტმა გამოაქვეყნა ,რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროსაც კი პაქტიდან გამომდინარე უფლებებიდან გადახვევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი ,თუ მოვლენა დიდ საშიშროებას ქმნის ერის სიცოცხლისთვის. ტერორისტული ქმედებები ან საფრთხე მიუხედავად იმისა ქმნის თუ არა საგანგებო ხასიათის მდგომარეობას ,ყველა შემთხვევაში უნდა შეფასდეს დეტალურად.<sup>47</sup>

#### (გ) გადახვევების ნებადართული რაოდენობა

პაქტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახვევა შეიძლება მხოლოდ სიტუაციის საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ მოთხოვნის გასაღები არის ნებისმიერი გადახვევის დროებითი ხასიათი. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა,რომ ნორმალური სტატუსის აღდგენა, სადაც პაქტის სრული პატივისცემა კვლავ დაცულია, მხარეთა უპირატეს მიზანს წარმოადგენს. ნებისმიერი გადახვევა პაქტიდან ,უნდა იყოს სავალდებულოობიდან გამომდინარე და პროპორციული.

მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი აკონკრეტებს, რომ საგანგებო სიტუაციების დროს ნებისმიერი სახის გადახვევამ ადამიანის უფლებებიდან არ შეიძლება ჩართოს დისკრიმინაცია მხოლოდ რასის, კანის ფერის , სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე. ის აგრეთვე გულისხმობს ,რომ ნებისმიერი გადამწყვეტი ღონისძიება არ უნდა იყოს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსაბამო , რაც მოიცავს საერთაშორისო ადამიანის უფლებების, ჰუმანიტარული სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი

ასევე აქტუალურია. იგი განმარტავს, რომ პაქტის მიხედვით არცერთი უფლება არ შეიძლება განიმარტოს, როგორც უფლება, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საწინააღმდეგოდ (მათ შორის მე-4 მუხლში მოცემული გადახვევა)

საბოლოოდ, ზემოთ მოყვანილ შეზღუდვებთან ერთად, ნებისმიერი გადახვევა უნდა იყოს შესაბამისობაში საჯალდებულობისა და პროპორციულობის პრინციპებთან.

### III. კონკრეტული ადამიანის უფლებათა გამოწვევები ტერორიზმის და კონტრტერორიზმის კონტექსტში

როგორც უკვე წინა თავებში განიხილეს, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი ადამიანის უფლებებზე ახდენენ გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმთან და კონტრტერორიზმთან ბრძოლის ყველა კონტექსტში ადამიანის უფლებათა მთელი სიღრმისეული ანალიზის ჩატარება შეუძლებელია, ეს თავი არჩევს მიმდინარე და განვითარებადი ადამიანის უფლებების გამოწვევებს.

## ა. სიცოცხლის უფლება

ორივე, საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა კანონი აღიარებს სახელმწიფოთა უფლებას და ვალდებულებას, დაიცვან თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები. თუმცა, პრაქტიკაში ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც სახელმწიფოებმა განახორციელეს ტერორისტული ქმედებებისგან პირების დასაცავად, მძიმე გამოწვევის წინაშე დააყენეს ადამიანის სიცოცხლის უფლება. მათ შორისაა „გამიზნული“ ან „მიზანმიმართული მკვლევლობები“, კონკრეტული პირების მოქმედებების აღსაკეთად, როგორც მათი დაპატიმრებისა და მათი გასამართლების ალტერნატივა. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ მიზანმიმართული მკვლევლობები არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც შემაკავებელი ან დამსჯელობითი და მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი. სახელმწიფო პოლიტიკამ ნათლად უნდა გაავრცელოს მითითებები და საჩივრები სამხედრო მეთაურებისთვის და ძალის არათანმიმდევრულ გამოყენებასთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოძიებული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. სასიკვდილო ძალის გამოყენების დაწყებამდე, ყველა ღონისძიება პირის დასაპატიმრებლად ტერორისტული ქმედებების ჩადენის პროცესში ამონურული უნდა იყოს.<sup>48</sup>

სხვა შემთხვევებში, სახელმწიფოებმა მიიღეს სამართალდამცავი პოლიტიკა „სასიკვდილო გასროლა“ ტერორიზმის საპასუხოდ. <sup>49</sup>კონტრტერორისტულ კონტექსტში, ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა ხაზგასმით აღნიშნა, სამართალდამცავი ორგანოების მთელი რიგი მნიშვნელობა და რომ მთლიანი სამართალდამცავი ორგანოები, პოლიციის ოფიცრებიდან პროკურატორებისა და საპატიმრო დაწესებულებების ოფიცრებით დამთავრებული კანონის ფარგლებში მოქმედებენ. მან გააფრთხილა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უკიდურესი სიფრთხილე უნდა იყოს გამოყენებული ავტორიტეტული პირების მიერ ყველა ფორმის ძალადობის

ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ და რომ ,მათ უნდა შეეცადონ კანონის მიმართ პატივისცემა გამოავლინონ.<sup>50</sup>

როგორც სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა ,შემაჯამებელი ან თვითნებური სიკვდილით დასჯის შესახებ ,“სასიკვდილო გასროლის „რიტორიკა და მისი ეკვივალენტები ადამიანის უფლებათა სამართალში სიღრმისეულ და მტკიცე საფრთხეს წარმოადგენენ.

“მიზანმიმართული მკვლელობის „ მსგავსად „ სასიკვდილო გასროლა“ გამოიყენება როგორც ახალი მიდგომა რომელიც დასძინს რომ ,უშედეგოა კანონის ფარგლებში მოქმედება ტერორიზმის წინაშე. თუმცა, ადამიანის უფლებათა სამართალი უკვე იძლევა ლეტალური ძალის გამოყენების უფლებას, როდესაც ამის გაკეთება მკაცრად აუცილებელია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. “ სასიკვდილო გასროლის“ რიტორიკა გამოიყენება მხოლოდ წმინდა სამართლებრივი სტარნდარტების ბუნდოვნად განსაზღვრული მკვლელობის ლიცენზიისგან გასათავისუფლებლად ,რაც სამართალდამცავ ოფიცრებს შორის დაბნეულობას იწვევს,უდანაშაულო პირებს საფრთხეში აგდებს და შეცდომების რაციონალიზებას იწვევს , მაშინ როდესაც ისინი თავს არიდებენ იმ რთულ გამოწვევებს, რასაც შესაბამისი საფრთხე იწვევს. სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა,რომ სახელმწიფოები,რომლებიც მიმართავენ „სასიკვდილო მკვლელობის“ პოლიტიკას ,რომ გაუმკლავდნენ ,მაგალითად თვითმკვლელობის ბომბდამშენებს „ უნდა შეიმუშაონ სამართლებრივი ჩარჩოები სათანადო ინფორმაციისა და ანალიზის სახელმწიფო პასუხისმგებლობის საოპერაციო დაგეგმვისა და მომავალი ინციდენტების ანგარიშვალდებულების ფაზებზე.“ მათ უნდა დაუმტკიცონ, რომ „მხოლოდ ასეთი მყარი ინფორმაცია, შესაბამის პროცედურულ გარანტიებთან ერთად ლეტალური ძალის გამოყენებამდე მიგვიყვანს.“<sup>51</sup>

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული კანონმდებლობის მიხედვით , სიცოცხლის თვითნებური ჩამორთმევისგან დაცვა ,თუნდაც საგანგებო მდგომარეობაშიც კი, საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა,რომ

„სიცოცხლის თვითნებური ჩამორთმევისგან დაცვა „ უდიდესი მნიშვნელობისაა.<sup>52</sup> კომიტეტი მიიჩნევს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა თავიდან აიცილონ თვითნებური მკვლელობა საკუთარი უსაფრთხოების ძალების მიერ. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სიცოცხლის ჩამორთმევა მძიმე საკითხია. აქედან გამომდინარე, კანონმა მკაცრად უნდა გააკონტროლოს და შეზღუდოს ის გარემოებები, რომელიც ადამიანის სიკვდილს იწვევს, და რომლის გამოც ადამიანს შესაძლოა ჩამოერთვას სიცოცხლე ასეთი ხელმძღვანელობის მხრიდან.“<sup>53</sup> იმისთვის რომ საერთაშორისო სამართალი შეესაბამებოდეს საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართალს, ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკა რომელიც ნებას რთავს ლეტალური ძალების გამოყენებას უნდა დაიყოს პატარა ქეისებად, რომელშიც სიცოცხლის უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება ჩაითვალოს თვითნებურად.

იმისთვის, რომ ლეტალური ძალის გამოყენება კანონიერად ჩაითვალოს, ყოველთვის აუცილებლობის პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს და ისეთ სიტუაციებში უნდა იყოს გამოყენებული, როდესაც აუცილებელია თავდაცვისათვის ან სხვისი სიცოცხლის დასაცავად. იგი ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს პროპორციულობის პრინციპს და დაკავების არალეტალურობის ტაქტიკას ან პრევენციას, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს მცდელობაში, თუ დასაშვები იქნება. უმეტეს შემთხვევაში, სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილ პირებს უნდა მისცენ საშუალება თავისით ჩაბარდნენ მართლმსაჯულებას.<sup>54</sup> სახელმწიფოს სამართლებრივი ბაზა მკაცრად უნდა აკონტროლებდეს და ამცირებდეს გარემოებებს, რომელშიც სამართალდამცავებმა შესაძლოა ლეტალურ ძალას მიმართონ.<sup>55</sup>

საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობა შეიცავს მსგავს დებულებებს მოქალაქეების მიზანმიმართულ მკვლელობაზე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ( იხილეთ, თავი I).

## ბ. გამოწვევები წამების წინააღმდეგ აბსოლუტურ აკრძალვაზე

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა აბსოლუტურია საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ეს არის იმპერატიული ნორმა ანუ *jus cogens*<sup>56</sup> ნორმა, რომელიც არის არადეროგატული საგანგებო მდგომარეობის დროსაც და საფრთხეს უქმნის ერის სოცოცხლეს საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებების ხელშეკრულებების მიხედვით.<sup>57</sup>

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა ვერ იცვლებს ტერორიზმის საფრთხეს ან ინდივიდის მიერ გამოწვეულ სახელმწიფოს საწინააღმდეგო საფრთხეს ვერ აცვლებს თავიდან.<sup>58</sup> შტატები ხშირად იღებენ პოლიტიკას და მეთოდებს ტერორიზმის დასაძლევად, რაც ფაქტობრივად ამ აბსოლუტურ აკრძალვას გვერდს უვლის და ძირს უთხრის.<sup>59</sup>

მაგალითად, ტერორისტი ეჭვმიტანილისაგან ინფორმაციის მოპოვებისთვის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სრულებით აკრძალულია, როგორც წამების შედეგად მიღებული მტკიცებულების სამართლებრივი პროცედურების გამოყენებისას, როგორც სახლში, ისე საზღვარგარეთ, და „საიდუმლო მტკიცებულებით“, რომელიც წამოიჭრება სისხლის სამართლებრივი დევნისა და სხვა ორგანოების მიერ სასამართლო სამართალწარმოებაში, წამების საწინააღმდეგო მტკიცებულების მიუღებლობის პრინციპის დარღვევით, იგი შესულია წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-15 მუხლში.<sup>60</sup>

სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს ადამიანის უფლებათა კანონის გამოყენებას თავიანთი ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ პირებზე, შეიძლება ეფექტურად აღმოფხვრას წამების, სასტიკი და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აბსოლუტური აკრძალვა. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიხედვით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული უფლებები ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომლებიც შეიძლება იმყოფებოდნენ მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა პირზე (იხ. ზემოთ).



ეს ნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს და პაქტით გათვალისწინებული უფლებების შეასრულოს, მათ შორის წამების აბსოლუტური აკრძალვა - მისი კონტროლისა და ძალის ქვეშ მყოფი პირებისთვის, მიუხედავად იმისა, ისინი იმყოფებიან თუ არა ამ ტერიტორიაზე. ანალოგიურად, იუსტიციის საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ როდესაც სახელმწიფოს იურისდიქცია ძირითადად ტერიტორიულია, პაქტით გათვალისწინებული უფლებები ვრცელდება „სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებებზე თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ოღონდ მისი იურისდიქციის შესაბამისად“.<sup>61</sup>

პატიმრობის პირობების გათვალისწინებით, ქმედებები, როგორცაა საიდუმლო და დაუსაბუთებელი დაკავება, <sup>62</sup> ისევე როგორც ხანგრძლივი დაპატიმრება და მსგავსი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს სტრესის გამომწვევას, მიეკუთვნება წამებას, სასტიკ, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სახეობას.<sup>63</sup>

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ წამების პრევენციის სამართლებრივი და პრაქტიკული გარანტიების სრული დაცვა, მათ შორის პირადი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებათა გარანტიების და სათანადო პროცესების დაცვა. მაგალითად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული ან დაკავებული პირისათვის მოსამართლის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენა და გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვა ან გათავისუფლება. ისინი ასევე მოიცავს უფლებებს, რომლის მიხედვითაც მალევე მტკიცდება პირის სამართლიანი დაკავების პროცესი სასამართლოში. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, თავის ზოგად კომენტარში N29 დაადასტურა, რომ ეს უფლება უნდა იყოს დაცული ნებისმიერ დროს, მათ შორის საგანგებო მდგომარეობის დროს, ხაზს უსვამს პროცედურული გარანტიების გადამწყვეტ როლზე წამების აბსოლუტური აკრძალვის ან არაადამიანური, სასტიკი, ან დამამცირებელი მოპყრობის ნებისმიერ სხვა ფორმის განხილვისას. გარდა ამისა, დაკავებულებს უნდა მიეცეთ სამედიცინო მომსახურება ექიმებისა და იურიდიული კონსულტანტებისგან. საბოლოო

ჯამში,სახელმწიფოებმა უნდა დაუშვან დაკავების ცენტრების რეგულარული და დამოუკიდებელი მონიტორინგი (იხილეთ აგრეთვე (დ) ნაწილი ქვემოთ).

2006 წლის 22 ივნისს წამების საწინააღმდეგო მეორეხარისხოვანი პროტოკოლი კონვენციაში შესვლის დღიდან მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს დაკავებულთა წამებისა და სხვა სასტიკი ,არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან პრაქტიკული დაცვის უზრუნველსაყოფად. იგი ადგენს საერთაშორისო ქვეკომიტეტს წამებაზე თავისი მანდატით,რათა დააფუძნოს ეროვნული პრევენციული მექანიზმები , რომლითაც ასევე დაკავებისა და პატიმრობის ადგილებიც უნდა უზრუნველყონ. ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა მოუწოდა ყველა სახელმწიფოს ,რომ ხელი მოეწერათ ამ დოკუმენტისთვის ,რადგანაც ის წარმოადგენს მნიშვნელოვან პრაქტიკულ ღონისძიებას და თავისი საქმის დემონსტრირებას ,როგორც წამებისა და ცუდად მოპყრობის პრევენციისა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტს თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირთათვის.

### გ. ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილ პირთა გადაყვანა

სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, განახორციელონ დაკავებულთა გადაყვანა გამჭვირვალებობის გზით და ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობის შესაბამისად. მათ შორისაა ადამიანის ღირსების პატივისცემის უფლება, ყველას უფლება, კანონის წინაშე იქნას აღიარებული და ასევე უფლება სათანადო პროცესისა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო მოითხოვს,რომ ნებისმიერი სახის თავისუფლების აღკვეთა უნდა ეფუძნებოდეს კანონით დადგენილ საფუძვლებსა და პროცედურებს,რომლის მიხედვით დაკავებულებს უნდა შეატყობინონ მათი დაკავების მიზეზები , დაუყოვნებლივ შეატყობინონ მათ ბრალდების საფუძველი და იურიდიული მომსახურების განწვევის ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია . გარდა ამისა , სწრაფი და ეფექტური ზედამხედველობა უნდა გაეწიოთ სასამართლო ოფიცრის მიერ და მისი

დაკავება უნდა იყოს კანონიერების საფუძველზე, დაცული უნდა იყოს ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებები. საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი მინიმალური ხელმისაწვდომობა იურისტთან და თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობაზე გონივრული შეზღუდვების დანერგვა რჩება სავალდებულო . გარდა ამისა, ეროვნულ ხელისუფლებას აქვს ვალდებულება ხელი შეუშალოს ადამიანის უფლებათა დარღვევას და აქტიურად გამოიძიოს და გამოიკვლიოს ისეთი ქმედებები,რომელიც ამ პირის გადაყვანას და დაკავებას მოჰყვა და რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

2001 წლის 11 სექტემბრიდან ზოგიერთმა სახელმწიფომ გავრცელებული ინფორმაციით, გააძევა, გარიცხა, დაადევორტა ან გადაიყვანა ტერორიზმში ეჭვმიტანილი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის თავშესაფრის მაძიებლები, მათი წარმოშობის ქვეყანაში ან სხვა ქვეყანაში, სადაც ისინი სავარაუდოდ აწყდებიან წამების ან ცუდად მოპყრობის რისკს. 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პრინციპი ,რომელიც ლტოლვილთა სტატუსთანაა დაკავშირებული, ასევე აღიარებულია სხვა საერთაშორისო დოკუმენტებშიც, განსაკუთრებით კი წამების<sup>64</sup>საწინააღმდეგო კონვენციის მე-3 მუხლში და საერთაშორისო კონვენციის მე-16 მუხლში ყველა პირის იძულებითი გაუჩინარებისგან დაცვაზე . ეს ასევე აისახება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლში ,რომელიც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავის ზოგად კომენტარში N20 (1992) განმარტა, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება , არ დაებრუნებინათ პირები იმ ქვეყანაში,სადაც მათ წამება, სასტიკი,არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საშიშროება ელოდათ,სწორედ მათი მხრიდან ამ პირების ექსტრადირების , განდევნისა და დეპორტირების გამო. პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად,<sup>65</sup> სახელმწიფოები ვალდებულები არიან თავი შეიკავონ ექსტრადირებისაგან, დეპორტაციისგან, განდევნისაგან ან პირის გამორიცხვისგან და მათი ტერიტორიიდან განდევნისგან ,სადაც არსებობს არსებითი საფუძველი გარდაუვალი რისკისა, თუნდაც იმ ქვეყანაში ,საიდანაც კვლავ განდევნა

ემუქრებათ .საერთაშორისო სამართლის მიხედვით განდევნის აკრძალვა აბსოლუტურია თუ არსებობს წამების ან სხვა სასტიკი ,არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის რისკი.<sup>66</sup> თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ვალდებულება წარმოიშვება იმ შემთხვევებშიც კი თუ არსებობს გარდაუვალი რისკი ზიანის მიყენებისა და ასევე სიცოცხლის თვითნებურად ჩამორთმევის შემთხვევა (მათ შორის, სიკვდილით დასჯის არასათანადოდ დანესება) , იძულებითი გაუჩინარება, წამებისა ან სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და აშკარა უსამართლო სასამართლო პროცესი .

პირის გადაადგილებას ,რომელიც უზენაესი კანონის და სათანადო პროცესის დაცვის გარეშე ხდება მივყავართ რიგი უფლებების დარღვევისკენ , კერძოდ ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დარღვევისკენ ,წამების აკრძალვა და სხვა სასტიკი ,არაადამიანური ან დამამცირებელი უფლების დარღვევისკენ ,უფლება იყოს აღიარებული ყველგან კანონის წინაშე ,როგორც პირს კანონის წინაშე ,აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლება , პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება და ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრივილეგია. გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია იძულებითი გაუჩინარების აღსრულების გაუქმება.<sup>67</sup>

კონტრტერორისტულ კონტექსტში ,ზოგიერთმა სახელმწიფომ გამოიყენა დიპლომატიური გარანტიები, ურთიერთგაგების მემორანდუმები და დიპლომატიური შეთანხმების სხვა ფორმები, რათა გაემართლებინათ ტერორორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი პირების არარარეგულარული გადაცემა იმ ქვეყნებში, სადაც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ წამების რეალური რისკის ქვეშ ან სხვა ადამიანის უფლებათა შელახვის მსხვერპლნი. ეს პრაქტიკა რიგ სერიოზულ ადამიანის უფლებებზე შეშოთებას გამოთქვამს , ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც პრაქტიკაში, ისევე რეალობაში ეს შეთანხმებები არ მუშაობს და ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ უსაფრთხოებას წამების და სხვა ცუდად მოპყრობისგან, ვერც როგორ სამართლებრივი საკითხი ,რადგან არ შეუძლია განდევნის ვალდებულებების გაუქმება. უმეტეს შემთხვევაში ,გარანტიები იღება იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც

იმ საერთაშორისო და რეგიონულ შეთანხმებების წევრები არიან , რომლებიც კრძალავენ წამებას და სხვა სასტიკ მოპყრობას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ ქმედებებს ან სასჯელის აღსრულებას ისეთ ქმედებებზე ,რომელიც სვავს საკითხს, იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არის შემდგომში ორმხრივი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელი. მიუხედავად იმისა ,რომ ხელშეკრულებების საფუძველზე ყველა პირი თანაბარი დაცვის უფლებებით სარგებლობს, დაკავებულთა შორის ორი კლასის სისტემის ჩამოყალიბებაში მხოლოდ რჩეულთა რიცხვი სარგებლობს დაცვის უფლების გარანტიით ,მაშინ როდესაც ამის ფონზე იგნორირებულია სხვა რთული გარემოებები. აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების სრულ შესრულებას არსებული სტრუქტურების მეშვეობით, კერძოდ , რეგულარული ვიზიტების სისტემას, დამოუკიდებელი საერთაშორისო და ეროვნული ორგანოების შექმნის გზით იმ ადგილებში, სადაც ადამიანებს თავისუფლებას ართმევენ.

ყველა სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება იმის დასადასტურებლად,რომ მათი ტერიტორია არ გამოიყენება პირების იმ ადგილებში გადასაყვანად , სადაც მათ შეიძლება წამება დაემუქროთ. ეს მოიცავს პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას , იმის განსასაზღვრას რომ ,უცხოელების მოძრაობას ამ ტერიტორიაზე არ მოჰყვებს გარდაუვალი რისკი მათთვის ზიანის მისაყენებლად. ეს იმას ნიშნავს ,რომ პირების გადაყვანა ერთი ტერიტორიიდან მეორე ტერიტორიაზე კანონით და საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული. ამასთანავე, სასამართლო ზედამხედველობა და განხილვა, უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაკავებულისთვის ნებისმიერი სახის გადაადგილებამდე და დამატებითი საფუძვლები უნდა არსებობდეს იმისთვის,რომ გადაადგილება ქმნის რეალურ რისკს წამებისთვის და აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული. ყველა გარემოება უნდა შეფასდეს წინასწარ ,ტრანზიტული სახელმწიფოდან დაწყებული ,ტრანზიტული თვითმფრინავით ან სატრანსპორტო საშუალების წარმოშობისა და დანიშნულებით დამთავრებული, მათი მზადყოფნა ან სხვაგვარად ტრანზიტული სახელმწიფოს შესახებ ინფორმაცია და /ან უსაფრთხოების

გარანტიების უზრუნველყოფა .გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა წამებასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია დაკვირვება იმ მოქმედებებზე, რომლებიც ხელს უშლის წამების აბსოლუტურ აღკვეთას კონტრტერორიზმის კონტექსტში.<sup>68</sup>

სახელმწიფოების საერთაშორისო პასუხისმგებლობა შეიძლება შემოიფარგლოს არასწორი ქმედებების ჩადენის შემთხვევებით, სხვა სახელმწიფოებისთვის პირველადი დახმარების გაწევით, რომლებმაც არასწორი ქმედება ჩაიდინეს საკუთარი სარგებლიდან გამომდინარე , ვერ შეძლეს ამ ტერიტორიებზე ამგვარი ქმედებების ამკრძალველი ღონისძიებების განხორციელება დროულად . სახელმწიფოების პასუხისმგებლობაში შედის, აგრეთვე მათი აგენტების დაუქვემდებარებელ შეტევაზე გადასვლა. გარდა ამისა, როდესაც ადგილი აქვს ამ დარღვევებს, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ დაუყოვნებელად აწარმოონ ეფექტური და სწრაფი გამოძიება ამ ქმედებებში პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისთვის და დამნაშავეობის დასადგენად, ასევე დაზარალებულები კომპენსაციით უზრუნველყონ.<sup>69</sup>

## დ. პირის თავისუფლება და უსაფრთხოება

ყველა ადამიანი დაცულია თავისუფლების უკანონო და არასამართლიანი ჩარევისაგან, ეს დაცვა გამოიყენება სისხლის სამართლის სამართალწარმოების კონტექსტში, ისევე როგორც სხვა სფეროში, სადაც სახელმწიფომ შეიძლება გავლენა იქონიოს პირთა თავისუფლებაზე.<sup>70</sup> პრაქტიკაში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობისას სახელმწიფოებმა მიიღეს ზომები, რომლებსაც პირდაპირი გავლენა აქვს ადამიანის თავისუფლებაზე, ესენია : ტერორისტული სამართლდარღვევებისთვის წინასწარი პროცედურები ;მათ შორის დებულებები გირაოს და წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა შესახებ ; წინასწარი პატიმრობა( დაკავებისას პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემამდე შემდგომი გამოძიების მიზნით, იყო თუ არა პირი ჩართული კომისიაში ან ეხმარებოდა თუ არა კომისიას ტერორისტული დანაშაულის

58. იხილეთ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, კავშირები კომუნიკაციის შესახებ N 39/1996, Tapia Páez, შვედეთი, 1997 წლის 28 აპრილი: „კონვენციის მე-3 მუხლის გამოცდა აბსოლუტურია, როდესაც არსებითი საფუძველი არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ ინდივიდი სხვა სახელმწიფოში გაძევებისას უნდა დაექვემდებაროს წამებას, მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია არ დაუშვას ამ სახელმწიფოსათვის დაინტერესებული პირი. საქმიანობის სახეობა, რომელიც განხილული პირი დაკავებულია არ შეიძლება იყოს მატერიალური გადაწყვეტილება მე-3 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას (A/52/44, დანართი V). აგრეთვე იხილეთ, ადამიანის უფლებათა კომიტეტი: „მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია აღიაროს წამების, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაკნინებული. ამგვარი დამოკიდებულება არასდროს არ შეიძლება იყოს გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსის საფუძველზე და პიროვნების უფლებების პაქტის მე-7 მუხლის მიხედვით. არ არსებობს გამონაკლისი ადამიანებში, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან ეროვნული უშიშროების ან ნებისმიერი პირის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნაში, შეიძლება გადაადგილდეს იმ ქვეყანაში, სადაც იგი ატარებს წამების რისკს ან სასტიკი, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობა სახეზე (A/61/40 (ტ. I) პარაგრაფი 76 (15)).“

59. იხილეთ, მაგალითზე წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენება (A/59/44, paras. 67, 126 and 144) და „ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა: სპეციალური მოხსენებლის მანფრედ ნოვაკის მოხსენება წამების საკითხზე „(E/CN.4/2006/6)

60. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის შესახებ სპეციალური მოხსენებლის ანგარიში (A/61/259, paras. 44–65)

61. სამართლებრივი შედეგები, პარაგრაფი 111



62. აგრეთვე იხილეთ, ადამიანის უფლებათა კომისიის 2005/ 39 რეზოლუცია : „ხანდაზმულობით დაკავებულებს ან საიდუმლო ადგილებში პატიმრობას ხელს შეუწყობს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის აღსრულება და შეუძლია თავად შეიტანოს ასეთი სახის მოპყრობა და მოუწოდოს ყველა სახელმწიფოს პატივი სცეს თავისუფლების, უსაფრთხოების და ღირსების შესახებ გარანტიებს „ ( პუნქტი 9)

63. იხილეთ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 20 (1992) ,გვ 6 და „ გუანტანამოს ყურეზე დაკავებულთა მდგომარეობა“(E/CN.4/2006/120, para. 53).

64. იხილეთ E/CN.4/2005/103, para. 52

65. იხილეთ ,აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება /გაერთიანებული სამეფო N° 14038/88.

66. იხილეთ , ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო , Chahal გაერთიანებული სამეფო N° 22414/93, 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, და ლუის არბორი „ ჩვენი სახელით და ჩვენი საშუალებით“ საერთაშორისო და შედარებითი კვარტალური კანონი ,ტომი 55 , N 3 (2006 წლის ივლისი) , გვ 511.

67. იხილეთ , ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის ომისია) „ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესახებ, საიდუმლო დაკავების და პატიმრების სახელმწიფოთაშორისო ტრანსპორტი“,- 17-18 მარტი, 2006 , მოსაზრება N 363/2005 , CDL-AD(2006)009.

68. იხილეთ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური თავისუფლების დაცვის შესახებ „(A/HRC/4/88) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის განცხადება 2005 წლის დეკემბერში და E/CN.4/2006/6, ტომი. III. იხილეთ კომიტეტის მოსაზრება წამებაზე , N° 233/2003, აგიზა ,შვედეთი , 20მაისი, 2005 (A/60/44, დანართი VIII, სექცია . A) და ადამიანის უფლებათა კომიტეტი , კომუნიკაციის შესახებ N° 1416/2005, ალზერი ,შვედეთი , 2006 წლის 25 ოქტომბერი (A/62/40 (ტომი. II), დანართი VII).

69. იხილეთ, ევროპის საბჭოში წევრი სახელმწიფოებისადმი საიდუმლო დაკავების შესახებ ( მარტი მოხსენება) AS/Jur (2006) 03 გამეორება და შემდგომი მოხსენება „საიდუმლო დაკავებებზე და დაკავებულთა უკანონო გადაადგილებაზე ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით“: მეორე მოხსენება , დოკ 11302 rev. „გენერალური მდივნის მოხსენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 52- ე მუხლით ,საიდუმლო დაკავებისა და ტერორისტული აქტების ეჭვმიტანილთა სატრანსპორტო საკითხებზე „ განსაკუთრებით, კი უცხოური სააგენტოების ნაქვებების მიერ“ (SG/Inf (2006) 5, 28 თებერვალი , და მისი დამატებითი მოხსენება (SG/Inf (2006) 13, 14 ივნისი 2006) -ზე ; ვენის კომისია .

70. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N8 (1982 ) თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შესახებ (მუხლი 9 ) ,პარაგრაფი 1 და 4

71. იხილეთ, საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 9(3)-(4)). აგრეთვე იხილეთ ადამიანის და ხალხთა უფლებების დაცვის საერთაშორისო პენი , კონსტიტუციური უფლებების პროექტი, გაერთიანებული უფლებები კენ სარო- წივას და სამოქალაქო თავისუფლების ორგანიზაცია,ნიგერიის სახელით , კომუნიკაციები N° 137/94, N° 139/94, N° 154/96 და N° 161/97, პარაგრაფი. 83.

72. იხილეთ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო უნივერსალური დეკლარაცია \* მუხლი 1 და 2 ) და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი(მუხლი 26).იურისპრუდენციის შემდგომი დაიჯესტი ( თავი III ,სექცია კ)

73. იხილეთ,ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო, საკონსულტაციო მოსაზრება OC-18/03 იურიდიული მდგომარეობისა და დაუსაბუთებელი მიგრანტების უფლებების შესახებ, 2003 წლის 17 სექტემბერი , გვ 101.

74. იხილეთ ,მაგალითად E/CN.4/2006/98, პარაგრაფი .<sup>48</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტი , ზოგადი კომენტარი N29 (2001) საგანგებო მდგომარეობის შესახებ (მუხლი 4), პარაგრაფი 8 და 16 და E/CN.4/2002/18დანართი, პარაგრაფი. 4 (i).

75. იხილეთ A/HRC/4/26 , პარაგრაფი 32-62.

76. ადამიანის უფლებათა ამერიკული კომისია , ტერორიზმისა და ადამიანის უფლებების შესახებ მოხსენება ,პარაგრაფი 353.

77. ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ , „ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N 8 რასიზმის წინააღმდეგ ტერორიზმთან ბრძოლის დროს , (CRI (2004) 26).

78. ევროკავშირის დამოუკიდებელ ექსპერტთა ქსელი ფუნდამენტურ უფლებებში, თავისუფლებასა და უსაფრთხოებასშორისო ბალანსი ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ ტერორისტული საფრთხის წინაშე. გვ 21.

79. იხილეთ E/CN.4/2005/103, paras. 71–76, და აგრეთვე /HRC/4/26, paras. 32–62.

80. იხილეთ ,ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 13 (1984).

81. E/CN.4/2005/103, პარაგრაფი . 44

82. იხილეთ აფრიკის კომისია ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ, მედიის უფლებების დღის წესრიგზე , ვ. ნიგერია, კომუნიკაციის N 224/98 (პარაგრაფი 59-62) და ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, კასტილო პეტრუზი და სხვები , პერუს ,1999 წლის 30 მაისის განჩინება (პუნქტები 128-131,172).

83. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული სპეციალური მოხსენებლის ანგარიში მარტინ სქინინი ((A/61/267).

84. A/HRC/4/88, paras. 17–22.

85. იხილეთ E/CN.4/2005/103, para. 32, and E/CN.4/2006/98, პარაგრაფი 26.
86. რეგიონული მაგალითისთვის, იხილეთ კასტილო პეტრუზი, პერუ (პუნქტი 121).
87. ბოლო მოვლენებისთვის იხილეთ <http://www.un.org/law/terrorism/index.html>
88. იხილეთ E/CN.4/2006/98, para. 42.
89. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1624(2005), გვ. 1
90. იხილეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ჰენდისაიდი /გაერთიანებული სასამართლოს N° 5493/72, 1976 წლის 7 დეკემბრის განჩინება.
91. /HRC/4/26/Add.3.
92. იხილეთ გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის საერთაშორისო მექანიზმები, გაეროს სპეციალური მომხსენებლის აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში და OSCE სპეციალური წარმომადგენელი გამოხატვის თავისუფლების შესახებ (2005 წლის 21 დეკემბერი)
93. იხილეთ, აფრიკის კომისია ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ, საერთაშორისო ამნესტია, მომხსენებელი ლესლი ბაჩელარდი, აღმოსავლეთ აფრიკის რესპუბლიკის საეპისკოპოსო კონფერენციის წევრთა ასოციაცია სუდანი, კომუნიკაციები N° 48/90, N° 50/91, N° 52/91, N° 89/93 (პარაგრაფი. 78–80).
94. იხილეთ, ადამიანის უფლებათა დამცველების გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰინა ჯილანის მიერ წარმოდგენილი მოხსენება (E/CN.4/2006/95): ე.წ უსაფრთხოებისა და კონტრტერორისტული ზომები იქნა გამოყენებული, რომლებიც ადამიანის უფლებებს ზღუდავს. იხილეთ, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დამცველები და ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ თვითნებურ ქმედებებს კანონის უზანაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გამონაკლისების შემოღებას სპეციალური უსაფრთხოების კანონმდებლობით (პუნქტი 52). აგრეთვე იხილეთ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1373(2001) სახელმწიფოთა მიერ მიღებული ზომები მოიცავს გარკვეულ ერთეულთა სახსრების გაყინვას (პუნქტი 1(გ)), რათა თავიდან აიცილოს გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში ნებისმიერ სახსრის მიღება (პუნქტი 1) რათა, თავი შეიკავონ გარკვეული პირების დახმარებისგან, ტერორისტული დაჯგუფების წევრების დანიშნისგან, ტერორისტული ჯგუფების გადაადგილების თავიდან აცილების მიზნით (პუნქტი 2, (გ) - ყველა ღონისძიება გავლენას ახდენს ასოციაციებზე.
95. იხილეთ, ადამიანის უფლებათა დამცველების გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰინა ჯილანის (A/59/401 და E/CN.4/2006/95) ანგარიში.
96. იხილეთ, A/61/267.
97. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სიდროპულოსი და სხვები, საბერძნეთი N° 26695/95, 1998 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება: „სასამართლო არ გამოირიცხავს, რომ ერთხელ აღნიშნული მიზნები, როგორც ასოციაციის მემორანდუმში იყო ნაჩვენები, ჩართული იყო იმ

მიზნებთან შეუთავსებელ საქმიანობაში,ეს შესაძლებლობები, რომლებიც ეროვნულმა სასამართლოებმა დაინახეს ,დარწმუნებულნი იყვნენ,რომ რაიმე პრაქტიკული ქმედებებით უარყოფილი იქნებოდა, როგორც არასდროს არსებობდა, ასოციაციას დრო არ ჰქონდა რაიმე ქმედების განსახორციელებლად (პუნქტი 46).

98. A/59/401, paras. 49, 51–82.

99. იხილეთ E/CN.4/2005/103, paras. 13–15.

100. იხილეთ A/61/267, პარაგრ. 29.

101. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, კომუნიკაციების შესახებ N° 453/1991, Coeriel et al. ,ჰოლანდია, 1994 წლის 31 ოქტომბერი, (A/50/40 (ტ. II), დანართი X, სექცია დ). მაგალითად, პირადი ცხოვრების მნიშვნელობაზე იხილეთ, ევროპის საბჭოს სასამართლოს Amann v. შვეიცარია , N° 27798/95 , 2000 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება და Rotaru,რუმინეთი , 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

102. იხილეთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი , ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე- 11 მუხლის მე-2 პუნქტი.

103. იხილეთ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრება კომუნიკაციების N° 35/1978 შესახებ, AumeeruddyCziffra და სხვები v. Mauritius , 1981 წლის 9 აპრილის (A/36/40, დანართი XIII, პარაგრ . 9.2 (ბ) 2 (i) 8).

104. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კლასს, გერმანია N° 5029/71, 1978 წლის 6 სექტემბრის განჩინება, პარაგრ 50.

105. იხილეთ, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ტერორისტული პრევენციის განვითარების წინააღმდეგ გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ , DAC სახელმძღვანელოები და საცნობარო სერიები (OECD, 2003) , ხელმისაწვდომია [www.oecd.org](http://www.oecd.org).

## დანართი

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედება ტერორიზმის წინააღმდეგ

## გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგიის დანერგვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგია მიიღო გენერალურმა ასამბლეამ 2006 წლის 8 სექტემბერს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რათა შექმნილიყო ყოვლისმომცველი, გლობალური სტრატეგიული ფონი ტერორიზმის წინააღმდეგ. სტრატეგია ხაზს უსვამს წევრი სახელმწიფოების კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ უნდა მიიღონ როგორც ინდივიდუალურად ასევე კოლექტიურად: დაასახელონ ტერორიზმის გავრცელების გარემოებები, თავიდან აიცილონ და შეებრძოლონ ტერორიზმს, განამტკიცონ მათი ინდივიდუალური და კოლექტიური შესაძლებლობები, დაიცვან ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა ტერორიზმთან ბრძოლის დროს. სტრატეგია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მიმართებაში, განახორციელონ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დებულებები და ამავდროულად მოუწოდონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციებს დახმარების კენ.

გაეროს დეპარტამენტები, პროგრამები, ფონდები და სააგენტოები გარკვეული რაოდენობის ადგილებში ახორციელებდნენ სამოქმედო სტრატეგიულ ღონისძიებებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთიანი ძალებით კონტრტერორიზმის განხორციელების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში (CTITF)\* :

## კოორდინაცია და თანამშრომლობა

გენერალური მდივნის მიერ 2005 წელს შექმნილი კონტრტერორიზმის დანერგვის სამუშაო გუნდი მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში შესული სულ მცირე ორ ათეულ გაერთიანებაში საერთო კოორდინაციისა და თანხმობის მისაღწევად, კონტრტერორისტული მცდელობებით. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პროგრამა და

დააფუძნა სამუშაო ჯგუფები პირველადი ინიციატივების განსახორციელებლად, რათა დაეხმარონ წევრ სახელმწიფოებს სტრატეგიის შემუშავებაში სამუშაო ჯგუფებში შედის:

- **ინტეგრირებული სტრატეგიის შემუშავება:** სამუშაო ჯგუფი მიზნად ისახავს პრაქტიკული მეთოდოლოგიის შემუშავებას დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების დასახმარებლად, მათი თხოვნისამებრ და, სტრატეგიულ ინტეგრაციას, სამუშაო ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

- **ასახელებს რადიკალიზაციას და ექსტრემიზმს, რომელსაც მივყავართ ტერორიზმისკენ:** სამუშაო ჯგუფის მიზანია დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს იმის გაგებაში თუ, როგორ მივყავართ რადიკალიზაციას და ექსტრემიზმს ტერორიზმისკენ და იმ იდეებისკენ, რომელიც საფუძვლად უდევს ტერორიზმს.

- **ტერორისტული მიზნებისთვის ინტერნეტის გამოყენების აკრძალვა:** სამუშაო ჯგუფი მიზნად ისახავს დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორებთან ერთად განსაზღვროს ტერორისტული მიზნებისთვის ინტერნეტის ბოროტად გამოყენება და დაადგინოს შესაძლო გზები ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე ინტერნეტის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლო გზების იდენტიფიცირებისთვის.

- **ადამიანის უფლებების დაცვა ტერორიზმთან ბრძოლის დროს:** სამუშაო ჯგუფი მიზნად ისახავს ტერორიზმის კონტექსტში წევრი სახელმწიფოების ხელშეწყობას ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საქმეში, მათ შორის პრაქტიკული საშუალებების განვითარების გზით და ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობას ადამიანის უფლებათა პრიორიტეტულ საკითხებზე, ასევე კარგი პრაქტიკის მიღებას ადამიანის უფლებების დაცვისთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე გამოცდილების გაზიარებას.

- **მონყვლადი მიზნების დაცვის გაძლიერება:** სამუშაო ჯგუფები მიზნად ისახავენ შესაბამისი მექანიზმების ჩამოყალიბებას და ხელშეწყობას საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით და სხვა შემდგომი პრაქტიკების შემუშავებას მონყვლადი მიზნების დასაცავად.

- **ტერორიზმის მსხვერპლთა მხარდაჭერა და გაშუქება:** სამუშაო ჯგუფი მიზნად ისახავს ტერორიზმის მსხვერპლთა მხარდამჭერი საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებას ; დაზარალებულთა და წევრ სახელმწიფოებს შორის კონსტრუქციული დიალოგის ჩამოყალიბებას; დაზარალებულთა, წევრი სახელმწიფოების ,საერთაშორისო საზოგადოების და სამოქალაქო საზოგადოების სოლიდარობის დამყარებას , კონტრტერორისტული ძალისხმევით ფართო მხარდაჭერას დაზარალებულთა მდგომარეობის ხაზგასასმელად.

- **ტერორიზმის დაფინანსების შემცირება:** სამუშაო ჯგუფი მიზნად ისახავს ტერორიზმის სხვადასხვა კომპონენტების დაფინანსების სტრატეგიის შესწავლას და წინადადებების წამოყენებას ,რომლებიც საერთაშორისო წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული სტანდარტების ეფექტიანობას გაზრდის , მათ შორის ფინანსური სამოქმედო ჯგუფის სპეციალურ რეკომენდაციებს (FATF).

სამუშაო ჯგუფმა უკვე დაამყარა ურთიერთობები და ამჟამად ახორციელებს თანამშრომლობას რიგ რეგიონულ და სუბრეგიონულ ორგანიზაციებთან, მათ შორის : ისლამური კონფერენციის (OIC), ისლამური განათლების, მეცნიერების და კულტურული ორგანიზაციის (ISESCO), ევროკავშირის (EU), ევროპის საბჭოსა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (OSCE).

## ტერორიზმის გამავრცელებელი პირობების გათვალისწინება

გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლები და ელჩები, პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის შუამავლობითა და მხარდაჭერით 2001 წლიდან ხელს უწყობენ

მშვიდობიანობის შესახებ შეთანხმების დამყარებას მსოფლიოს 13 კონფლიქტურ ადგილას. დეპარტამენტების მიერ ახლახან დაფუძნებული მედიაციის მხარდაჭერის განყოფილება და სამშვიდობო მხარდაჭერის ოფისი კიდევ უფრო გააძლიერებს გაერთიანებული ერების სამშვიდობო შესაძლებლობებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია ხელს უწყობს ცივილიზაციათა, კულტურათა და ხალხებს შორის დიალოგის დამყარებას, მათ შორის რელიგიური დიალოგის დამყარებას, საზოგადოების სხვადასხვა დონეზე ხარისხიანი განათლების გაცვლის კუთხით, რაც აუმჯობესებს ადამიანის უფლებების ხელშეწყობას, დემოკრატიულ მოქალაქეობას და ტოლერანტობას, კულტურათაშორისი ჯურნალისტური ქსელების და კულტურათაშორის ტრენინგებს. იუნესკოს მშვიდობის პროგრამა ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ტერორისტული ქმედებების დაუშვებლობის გამოცხადებაში.

საჯარო ინფორმაციის დეპარტამენტი მუშაობს წევრ სახელმწიფოებთან, მედიასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან, საზოგადოებრივი დიალოგის, პატივისცემის, ტოლერანტობისა და კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით.

DPI ორგანიზებას უწევს ამ სათაურის ქვეშ გაერთიანებულ სემინარებს, „შეუწყნარებლობის გაუქმება“, რომელიც მიზნად ისახავს შეუწყნარებლობის სხვადასხვა გამოვლინებების შესწავლას და ხალხებს შორის პატივისცემისა და ურთიერთგაგების დამყარებას. აქამდე ჩატარებულმა ხუთმა სემინარმა ყურადღება გაამახვილა: ანტისემიტისმისა და ისლამოფობიის დაპირისპირების, მედიის როლზე „ტოლერანტობის გამძაფრებასთან, დაკავშირებით, გენოციდის თავიდან აცილებაზე და პოლიტიკური მულტიპლიკატორების როლზე.

ტერორიზმთან ბრძოლის ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებათა ახალ საბჭოსთან მუშაობის



ფარგლებში საუბრობს ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე ტერორიზმის გამავრცელებელი გარემოებების აღკვეთის პირობებში. ეს ხორციელდება სპეციფიური სამუშაოებით, მათ შორის ამ ქვეყნაში ვიზიტებით და ადამიანის უფლებათა საბჭოს და გენერალური ასამბლეისთვის წარდგენილი თემატური ანგარიშებით.

#### ტერორიზმის პრევენცია და მასთან ბრძოლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მასთან დაკავშირებული სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით შემუშავდა და გამოიცა თექვსმეტი უნივერსალური დოკუმენტი (13 ინსტრუმენტი და სამი ცვლილება). ამ ინსტრუმენტების უმრავლესობა უკვე ძალაშია შესული და უზრუნველყოფს ტერორიზმის წინააღმდეგ მრავალმხრივი სამართლებრივი ჩარჩოების შექმნას და ტერორიზმის კონკრეტული ქმედებების კრიმინალიზაციას, მათ შორისაა გატაცება, მძევლად აყვანა, ტერორისტული აფეთქებები, ტერორიზმის დაფინანსება და ბირთვული ტერორიზმი. ისინი შევსებულია გენერალურ ასამბლეის (49/60, 51/210 და 60/288) და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით (1267 (1999), 1373 (2001), 1540 (2004), 1566 (2004) და 1624 (2005)).

კონტრტერორისტული კომიტეტი და მისი კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატი პასუხისმგებელია უსაფრთხოების საბჭოს 1373(2001) და 1624(2005) რეზოლუციების შესრულებაზე და ქვეყნების მოთხოვნისამებრ ტექნიკური დახმარების გაწევაზე. ყველა 192 წევრი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მრავალჯერადი ანგარიშების და დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, კომიტეტი ასრულებს 1373 (2001) რეზოლუციის განხორციელების პირველად შეფასებებს, რომლითაც მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს გაატაროს ტერორისტული ქმედებების აღსაკვეთი ღონისძიებები და გააუმჯობესოს რეკომენდაციები. კომიტეტი ასევე ესტუმრა 22 წევრ წვეყანას და დაგეგმა შემდეგი 11 ვიზიტი.

უშიშროების საბჭოს 1267 წლის კომიტეტი ალქაიდას და თალიბანის სანქციების რეჟიმის პირობებში ყველა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ დაანესონ აქტივების

გაყინვა, სამოგზაურო აკრძალვა და იარაღის ემბარგო აუკრძალონ იმ პირს ან პირებს, რომლებიც განთავსებული არიან 1267 კომიტეტის კონსოლიდირებულთა სიაში აღქაიდას, უსანა ბინ ლადენის ან /და თალიბანის ასოციაციაში განწევრიანების გამო. აღნიშნული სანქციები გამოიყენება იქ, სადაც ჩამოთვლილი პირები და დაწესებულებებია განთავსებული. 2007 წლის ნოემბრის მონაცემებით, კონსოლიდირებულ ჩამონათვალში შედიოდა 367 კერძო პირი და 112 დაწესებულება, ხოლო მათგან 36 სახელმწიფო ფინანსური აქტივები გააუქმა ამ პირებს ამ სიების გამო.

მონიტორინგის გუნდმა, რომელიც 1267 წლის კომიტეტს ეხმარება სანქციების რეჟიმის დაფუძნების ხელშეწყობაში, აქამდე შეადგინა შვიდი ანალიტიკური ანგარიში სანქციების განხორციელების შესაფასებლად, რათა შეესწავლათ აღქაიდასა და თალიბანის ტერორისტული მუქარის ცვალებადი ხასიათი და საუკეთესო ღონისძიებები განხორციელებინათ მასთან გასამკლავებლად. გუნდმა მოიწვია 60-ზე მეტი წევრი სახელმწიფო სანქციების რეჟიმის გაუმჯობესების საკითხზე სამსჯელოდ და დაამყარა ურთიერთობა 28 საერთაშორისო და რეგიონულ ორგანოსთან. მათ ასევე დააფუძნეს ინფორმაციისა და უსაფრთხოების სააგენტოების რეგიონული გუნდი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ბანკერების გუნდი და გუნდი კერძო ფინანსური სექტორიდან, იმისთვის რომ მიეცათ რჩევები და შემოთავაზებები გაეკეთებინათ უსაფრთხოების საბჭოსთვის.

1540(2004) რეზოლუციის შესაბამისად კომიტეტმა და მისმა ექსპერტებმა შეისწავლეს 136 წევრი სახელმწიფოს მოხსენებები (85-ს მიაწოდეს დამატებითი ინფორმაცია) და ერთი ორგანიზაცია (ევროკავშირი) 1515(2004) რეზოლუციის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუშაობისას ხარვეზების იდენტიფიცირებისა და მასობრივი განადგურების იარაღისა და მათი კომპონენტების ხელმისაწვდომობის თავიდან ასაცილებლად არა სახელმწიფოებრივი პირებისგან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციების სამხედრო და საპოლიციო კომპონენტები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში

კონფლიქტურ ზონებში უზრუნველყოფდნენ უსაფრთხო გარემოს შექმნას. ამით შეძლეს ტერორისტული შესაძლებლობების და საქმიანობების შეზღუდვა ამ რეგიონებში.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო ახორციელებს თავის მეორე ბირთვული უსაფრთხოების გეგმას (NSP)- პირველი ღონისძიება მოიცავს 2002-2005 წლებს ხოლო მეორე მოიცავს 2006-2009 წლებს და მიზნად ისახავს ბირთვული და სხვა რადიოაქტიური ნივთიერებების გლობალური უსაფრთხოების გაუმჯობესებას და გაძლიერებას, შენახვისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების რეჟიმები.

განიარაღების საქმეთა ოფისმა (ODA) დაიწყო სტრატეგიის შემუშავების პირველი ეტაპი, ერთოვლივი ბიო-ინციდენტის მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების მიზნით. მონაცემთა ბაზა ინახავს ყველა მოხსენიებულ ანგარიშებზე დეტალურ ინფორმაციას (ბიოლოგიური ინციდენტების) შესახებ, რომელშიც ბიოლოგიური აგენტი ზიანს აყენებს ან ემუქრება ადამიანებს, პირუტყვს ან სასოფლო-სამეურნეო აქტივებს. იგი ასევე მოიცავს სხვა ინფორმაციას. კონსულტაციები მონაცემთა ბაზის ფარგლებში ჩატარდა დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებთან. ოფისი, ინარჩუნებს ექსპერტთა ჯგუფებს და ლაბორატორიებს გენერალური მდივნის საგამოძიებო მექანიზმებს ბიოლოგიური იარაღის სავარაუდო გამოყენების შესახებ. 2007 წლის დასაწყისში, ODA -მ თხოვნით მიმართა ყველა წევრ სახელმწიფოს კვალიფიციური ექსპერტებისა და ლაბორატორიების განახლებული სიისთვის. ტექნიკური გამოკვლევის ინსტრუქციები და პროცედურები ამჟამად განიხილება ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია შეიმუშავებს ხელშეკრულებებს, საერთაშორისო სტანდარტებს და რეკომენდირებულ პრაქტიკას, აგრეთვე სახელმძღვანელოს მასალებს, რათა დაიცვას თვითმფრინავები, აეროპორტები და სხვა საჰაერო საშუალებები. 2007 წლის 31 მარტის მდგომარეობით 159 წევრ ქვეყანაში ჩატარდა უსაფრთხოების აუდიტი და კოორდინირებული დახმარება გაენიათ აუდიტის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ისინი ასევე მიმართავენ

სამგზავრო დოკუმენტების უსაფრთხოებას და სასაზღვრო განმენდის სისტემებისა და პროცედურების რაციონალიზაციას.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ მიიღო საზღვაო უსაფრთხოების გაზრდის სავალდებულო ზომები, მათ შორის საერთაშორისო გემის და პორტის დანესებულების უსაფრთხოებების (ISPS) კოდი, რომელიც განხორციელდა 158 წევრი სახელმწიფოს მიერ და რომლებიც წარმოადგენდნენ მსოფლიოს სავაჭრო ფლოტის (დაახლოებით 40.000 გემის) 99 %-ს, ხოლო დაახლოებით 10 .000 პორტის ობიექტმა შეიმუშავა და დაამტკიცა პორტის გამაგრების და უსაფრთხოების გეგმები.

გაეროს რეგიონული დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, ევრო-აზიური რეგიონის 25 ქვეყნის მონაცემები შეაგროვა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური ან ბირთვული მასალებზე უკანონო ვაჭრობის ეროვნულ სტრატეგიებზე და გამოაქვეყნა შეფასების ანგარიში და ქვეყნის პროფილები, რომლებმაც გამოავლინეს ხარვეზები და ეროვნული სტრატეგიების საუკეთესო პრაქტიკები ეროვნულ უკანონო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს ჯანდაცვის საერთაშორისო მზადყოფნასა და რეაგირებაზე საერთაშორისო ჯანდაცვის რეგლამენტის (2005წ) ფარგლებში მათი წარმომავლობისა და წყაროს მიუხედავად საერთაშორისო ჯანდაცვის რეგლამენტის (2005) ფარგლებში. გლობალური გაფრთხილების და რეაგირების სისტემამ გამოიკვლია საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოვლენები, შეათვასა რისკები და შეუძლია უპასუხოს ქვეყნების სურვილს, რომ არსებობდეს მობილიზებული საერთაშორისო ჯანდაცვის სისტემის ქსელი. გაიდლაინებიც მომზადდა ქვეყნების ბიოლოგიური, ქიმიური, რადიოლოგიური ან ბირთვული ტერორისტული ინციდენტებისგან მზადყოფნისთვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის შედეგების მართვის

მიზნით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შეიმუშავა სტანდარტები და უზრუნველყოფს ლაბორატორიული ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის ტრენინგს, რათა

ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მასალების უსაფრთხო გამოყენებას და შენახვას ,რაც ამცირებს მათ სადერივაციო რისკს.

**\*\* საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია (INTERPOL),** სპეციალური სამუშაო ჯგუფის საშუალებით ,უზრუნველყოფს ტერორისტული ექსპერტების ფორუმს საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, აგრეთვე ოპერატიული ინფორმაციის მინოდებას,აქტიური ტერორისტული ჯგუფების იდენტიფიცირებისათვის ,მათ ორგანიზაციული იერარქიების, ტრენინგის მეთოდების, ტერორისტული ეჭვებისა და ჯგუფების დაფინანსებისა და განვების ჩათვლით. INTERPOL-ი ინარჩუნებს გლობალურ მონაცემთა ბაზების ფართო სფექტრს, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას (მაგ, ძებნილი პირები ,თითის ანაბეჭდები , ფოტოები და ა.შ) და შეიმუშავებს ტექნოლოგიას იმისთვის,რომ ასეთი მონაცემები, განსაკუთრებით მისი მონაცემთა ბაზა მოპარულ და დაკარგულ სამოგზაურო დოკუმენტებზე(SLTD) ხელმისაწვდომი იყოს სასაზღვრო უსაფრთხოების პუნქტებზე. იგი ასევე კოორდინაციას უწევს ტერორიზმში ეჭვმიტანილ და ძებნილ პირთა შესახებ გაფრთხილებების ცირკულაციას და ეხმარება გაეროს უშიშროების საბჭოს ალქაიდას და თალიბანის რეჟიმზე სანქციების დანერგვაში , მსოფლიოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის გაეროს მიერ სანქცირებულ ინდივიდებზე შესაბამისი ინფორმაციის მინოდებით. მოთხოვნისამებრ, INTERPOL მხარს უჭერს მის წევრ ქვეყნებს ჩადენილი ტერორისტული ქმედებების გამოძიების საქმეში რეაგირების გუნდების (IRTs) განთავსებით.

სახელმწიფოების შესაძლებლობები ტერორიზმთან ბრძოლისას

იურიდიულ საკითხთა ოფისმა მოამზადა პუბლიკაციები და ჩაატარა სემინარები და ტრენინგ-პროგრამები საყოველთაო კონტრტერორისტული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ამ ხელშეკრულების რეჟიმში მონაწილეობის წახალისების მიზნით.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი, 149-ზე მეტ ქვეყანას დაეხმარა საერთაშორისო ტერორიზმის პრევენციისა და აღმოფხვრის უნივერსალური ინსტრუმენტების დაფუძნებაში და კრიმინალურ საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერებაში, მათ შორის ეროვნული შესაძლებლობების განვითარებით. ოფისმა უზრუნველყო საკანონმდებლო რჩევები კონტრტერორისტულ საკითხებზე 80-ზე მეტ ქვეყანაში. ოფისმა ასევე შეიმუშავა (ან არის შემუშავების პროცესში) ათზე მეტი ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტი, მათ შორის საკანონმდებლო ბაზებისა და მოდელის კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნების დახმარებას მათი სამართლებრივი რეჟიმის განმტკიცებით ტერორიზმის საწინააღმდეგოდ. ოფისი განაგრძობს პროფესიული გამოცდილების გაზიარებას შესაბამის ორგანოთა მოხელეების მომზადებისა და ინსტიტუტების ასაშენებლად, რათა გააუმჯობესოს ქვეყნის შესაძლებლობები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ. ოფისი ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებს სისხლის სამართლის სისტემის ჩამოყალიბებაში, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისად.

კონკტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორატმა გამოავლინა და უპირატესობა მიანიჭა 90-ზე მეტი ქვეყნის ტექნიკურ დახმარებას და მათ საჭიროებებზე ინფორმაცია პოტენციურ დონორებს მიანოდა. მან ასევე კონტრტერორისტული კომიტეტის ვებ-გვერდზე შექმნა 1373 (2001) რეზოლუციის განხორციელებისთვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკები, კოდები და სტანდარტები.

1267 წლის კომიტეტის მონიტორინგის ჯგუფმა ასევე შეაგროვა ინფორმაცია და თხოვნები 151 წევრი სახელმწიფოებისგან ტექნიკური დახმარების საჭიროებებზე, აღქაიდას /თალიბანის სანქციების რეჟიმის უფრო ეფექტური განხორციელებისთვის და მიანოდა ეს ინფორმაცია გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისს (ტერორიზმის პრევენციის ფილიალი) და კონტრტერორიზმის კომიტეტის აღმასრულებელ დირექტორატს საჭირო მოქმედებებისა და ინფორმაციისთვის.

166 ქვეყანაში გაეროს განვითარების პროგრამა მო ავრობების მოთხოვნით ახორციელებს მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების მრავალრიცხოვან საქმიანობას, მათ შორის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონდებლობის პროგრამებს და მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერებას.

სამშვიდობო ოპერაციების განყოფილება უზრუნველყოფს ეროვნულ ტრენინგებს პოლიციის სამართალდამცავი ოფიცრებისა და კრიმინალურ საკითხებზე მომუშავე ოფიცრებისთვის, მათ შორის გატაცების, ინფორმაციის შეგროვების, მძევლად აყვანის, მკვლელობისა და დაბომბვების გამოძიებაზე.

უსაფრთხოებისა და დაცვის განყოფილება პასუხისმგებელია გაეროს ინტეგრირებული უსაფრთხოების მართვის სისტემის საქმიანობის კოორდინაციაზე გაეროს თანამშრომლების, აქტივებისა და ოპერაციების უსაფრთხოებასა და დაცვასთან ერთად მსოფლიოს ყველა საბაჟო სადგურზე . დეპარტამენტი, ინტერპოლი და ჰუმანიტარული საკითხების კოორდინაციის ოფისი მუშაობენ ერთობლივად საგანგებო რეაგირების მოცულობის გაზრდისთვის უსაფრთხოების მუქარის საპასუხოდ, ტერორიზმისგან დაცვის მიზნით.

2006 წლის ივლისში მიღებული ECOSOC რეზოლუციის IPO (E/2006/28) შესაბამისობაში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონული დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტი განაგრძობდა მხარდაჭერას იმ მრავალ წევრ ქვეყანაში, რომლებიც ჩართულები იყვნენ უსაფრთხოების ღონისძიებების ძირითად მოვლენებში, როგორცაა ოლიმპიური თამაშები და სხვა ფართომასშტაბიანი სპორტული ღონისძიებები, მაღალი დონის სამიტები და მასობრივი მოვლენები. მათ ასევე უსაფრთხოების დაგეგმვის ტრენინგები ჩაუტარეს 17 ლათინო-ამერიკულ ქვეყანას, ხოლო ევროპის მასშტაბით, ხელი შეუწყო ერთიანი კვლევითი სამუშაოების განვითარებას ძირითადი უსაფრთხოების საკითხზე. გარდა ამისა, UNICRI შეიმუშავა მთელი რიგი ტექნიკური ინსტრუმენტები ეროვნული პოლიტიკოსებისა და უსაფრთხოების მგვემავების მხარდასაჭერად.

საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს საქმიანობა, მიზნად ისახავს სახელმწიფოების დახმარებას: შეიმუშავებს 100-ზე მეტი შეფასების მისიას, რათა დაეხმაროს სახელმწიფოებს საკუთარი ბირთვული უსაფრთხოების მოთხოვნების იდენტიფიცირებაში; დაახლოებით 100 მაღალი აქტივობისა და ნეიტრონული წყაროების აღდგენაში, განლაგებასა და / ან შენახვაში; დაეხმაროს სახელმწიფოებს საბაჟო და სხვა სასაზღვრო მაღალჩინოსნებისთვის ტრენინგების ჩატარებაში და სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მონიტორინგის მონყობილობის და 24 საათიანი საკონტაქტო ქსელის დამონტაჟებაში, რათა ავარიულ შემთხვევებში ან რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებში იკონტაქტონ სახელმწიფოებთან. სააგენტო ასევე ეხმარება სახელმწიფოებს მიმდინარე და სამომავლო ღონისძიებების განხორციელებაში

ბირთვული უსაფრთხოების სფეროში გაღრმავებული საერთაშორისო პლატფორმის შექმნისთვის, როგორცაა ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის შესახებ ბოლო შესწორებული კონვენცია, კონვენცია ბირთვული ტერორიზმისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციის აქტების შესახებ 1540 (2004).

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია ხელს უწყობს გლობალური ანტიტერორისტულ ძალისხმევას ქიმიური იარაღის კონვენციის საყოველთაო ხელშეწყობის გზით. იგი განაგრძობს მოქმედებას თავისი მანდატის ფარგლებში, რათა დაეხმაროს ქვეყნებს ტერორისტების მხრიდან ქიმიური ნივთიერებების შეძენის თავიდან აცილებაში, უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ამგვარი მასალების გამოყენებით თავდასხმების შემთხვევაში ეფექტურ რეაგირებაში. OPCW გამოიგონა და შეინახა 71.000 მეტრ ტონამდე ქიმიური ნივთიერებები ხოლო მსოფლიოში ყველა ყოფილი ქიმიური იარაღის წარმოების საშუალებები გააუქმა.

საზღვაო უსაფრთხოების შესახებ გლობალური პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ განახორციელა 60 ქვეყნის საჭიროებათა შეფასება და საკონსულტაციო მისიები და 68 ეროვნული და <sup>50</sup> რეგიონალური სემინარი, ვორკშოპები ან კურსები, რომლებმაც შედეგად 6000 პირი გადაამზადა საზღვაო



უსაფრთხოების მეთოდების შესასწავლად. ეს საქმიანობა მიზნად ისახავდა საზღვაო უსაფრთხოებისა და სხვა საფრთხეების გაცნობას SOLAS XI-2 და ISPS Code-ის დებულებების გაგებასა და განხორციელებაში და სუბრეგიონალური თანამშრომლობის წახალისებაში ტერორიზმის წინააღმდეგ და ხელი შეუწყო პორტებსა და ზღვაში უკანონო ქმედებების პრევენციას, IMO's ტრენერთა ტრენინგებმა როგორც რეგიონალურ, ასევე ეროვნულ დონეზე, გადაამზადა ისეთი ინსტრუქტორები, რომელთაც შეუძლიათ სხვების დატრენინგება ამ მიზნების მისაღწევად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2002 წლის დასაწყისში ჩაატარა „ფულის გათეთრების პრევენციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის 61 ქვეყნის შეფასება(AML/CFT). ფონდმა უზრუნველყო 222 ქვეყნისთვის ტექნიკური დახმარება ეროვნულ და რეგიონულ ტრენინგ-სემინარებსა და მორგებული შესაძლებლობების განვითარების საშუალებით, ასეთია კანონმდებლობის შედგენა და AML/CFT -ის ფინანსური სექტორის ზედამხედველობის გაძლიერება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებულ სემინარებში მონაწილეობა მიიღო 2,470 -მა თანამშრომელმა.

2001 წლიდან მსოფლიო ბანკმა 32 შეფასება გააკეთა- 11 შეფასება IMF -თან ერთად ფულის გათეთრების პრევენციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (AML/CFT) 2001 წლიდან. ამ პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით 275 ტექნიკური დახმარების მისია განხორციელდა ორმხრივად ან რეგიონალურ საფუძველზე, რათა გაძლიერებულიყო AML/CFT რეჟიმის ყველა კომპონენტი. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკმა განხორციელა 14 ორმხრივი ფულადი გზავნილის დერეფნის ანალიზი, რომელიც სთავაზობს შემომავალ და გამავალ ქვეყნებს ახალ ინფორმაციას ფულადი გზავნილების მახასიათებლების შესახებ. ეს ინფორმაცია პოლიტიკის მიმოხილვის საფუძველს უზრუნველყოფს, რათა გაზარდოს ნაკადები ნაკლები ხარჯებით, AML/CFT სტანდარტებთან უკეთესი შესაბამისობისთვის. მსოფლიო ბანკი ასევე ახორციელებს კვლევებს AML/CFT -ის ფინანსურ მომსახურებას მობილური ტელეფონის

ტექნოლოგიების რისკების შესახებ, ეს კვლევა მოიცავს რეკომენდაციებს მთავრობებისა და დაინტერესებული პირებისთვის თუ როგორ უნდა მოახდინონ ამ ახალი ინდუსტრიის რეგულირება ბიზნესის ერთდროულად ხელშეწყობისა და რისკების შესამცირებლად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია ხელს უწყობს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების მხარდაჭერას განათლების, სასწავლო მასალებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავებისას, რათა ხელი შეუწყოს ინკლუზიური პედაგოგიკის და სწავლების განსხვავებული მეთოდის შემუშავებას. შიდა საუნივერსიტეტო სოლიდარობას, გაგებას და დიალოგს 550 იუნესკოს სკამის, გლობალური სწავლების პორტალის და UNITWIN -ის პროგრამის ქსელის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდებს შესაძლებლობებით ყველა რეგიონში. იუნესკომ ასევე შეიმუშავა მეცნიერების ქცევის კოდექსი, რათა შეეჩერებინათ სამეცნიერო ნაშრომის გამოყენება ტერორისტული მიზნებისთვის.

**\*\* საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია ინტერპოლი** იწყებს და კოორდინირებს ტრენინგ პროგრამებს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პრიორიტეტულ დანაშაულებრივ სფეროებს და მიზნად ისახავს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. კურსების შევსების მიზნით, ინტერპოლი შესაბამის ტრენინგ სახელმძღვანელოებს გამოყოფს, მათ შორისაა „ ბიომრავალფეროვნების ინციდენტთან დაკავშირებული დაგეგმვისა და რეაგირების გზამკვლევი“. ინტერპოლმა ჩაატარა ბიოტერორიზმის ხუთი რეგიონალური სემინარი, რომელსაც დაესწრო 130-ზე მეტი ქვეყნის დელეგატი, ამით დაიწყო ტრენინგ-კურსების სერიები, რომლებმაც პოლიციის, ჯანმრთელობის, პროკურატორისა და საბაჟოს შორის საერთო კავშირი დაამყარა. სესიები პრევენციისა და რეაგირების ეფექტურ სტრატეგიებს განსაზღვრავენ, ამყარებენ სუბრეგიონალურ თანამშრომლობას და კრიტიკულად აფასებენ სამართლებრივი უფლებამოსილების მქონე ორგანოებს პოლიციის ფუნქციების თავის თავზე აღების გამო. ინტერპოლმა დახმარება აღმოუჩინა წევრ ქვეყნებს ძირითადი ღონისძიებების დროს

სპეციალიზირებული გუნდების განლაგების გზით, რათა გაძლიერებინა ეროვნული ძალისხმევა ამ ღონისძიების დაცვისთვის. მათ ასევე შეიმუშავეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო, რომელიც ხელმისაწვდომია CTC ვებსაიტზე. მოწყვლადი მიზნების დაცვის გაძლიერებისთვის CTITF მომუშავე ჯგუფისთვის ინტერპოლი დააფუძნებს რეფერალურ ცენტრს, რათა ხელი შეუწყოს გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას და საჭიროების შემთხვევაში ტექნიკური დახმარების განწევას.

### ტერორიზმთან ბრძოლის დროს ადამიანის უფლებების დაცვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა დაცვას და ეფექტური ღონისძიებების გატარებას და მიიჩნევს ორივეს, როგორც ურთიერთშემავსებელ და ურთიერთგამაძლიერებელ მიზნებს. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე განიხილავს სახელმწიფოების ვალდებულებებს ზოგადი რეკომენდაციების განწევით და რჩევით და დახმარებით უზრუნველყოფს, განსაკუთრებით კი, მათივე თხოვნით, ხელს უწყობენ ეროვნულ სამართალდამცავ ორგანოებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალზე ცნობიერების ამაღლებას. ოფისი წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყოფს რჩევებითა და დახმარებით ტერორიზმის წინააღმდეგ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ. მათ შორის ადამიანის უფლებებზე მორგებული ანტიტერორისტული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებაზე. გარდა ამისა, OHCHR ხელს უწყობს ტერორიზმთან ბრძოლის დროს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობას.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის ოფისი ხელს უწყობს ადამიანის უფლებების გაძლიერებულ დაცვას ხელმძღვანელობისა და ადვოკატირების გზით, სთავაზობს ტექნიკურ დახმარებას და სწავლებას პრაქტიკოსებისთვის დახმარების განწევის მიზნით. ოფისი ორიენტირებულია ტერორიზმის კონტექსტში საერთაშორისო ადამიანის

უფლებათა ვალდებულებების სიღრმისეულ გააზრებაზე ყურადღებიანი კვლევისა და ანალიზის მეშვეობით, განსაკუთრებით , ადამიანის უფლებების, ტერორიზმის და კონტრტერორიზმის შესახებ ფაქტის ფურცლებში. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისში ასევე ორგანიზებულია ადამიანის უფლებასა და ტერორიზმთან დაკავშირებული რეგიონალური სემინარები, სადაც ხდება ტერორიზმთან ბრძოლის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის იურისპრუდენციის დაიჯესტის განახლება და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის საკითხებზე ფაქტების ფურცლის განვითარება.

ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის სპეციალური მომხსენებელი ახალი ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში მოქმედი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას მუშაობს საუკეთესო ზომების მიღებაზე ,საუკეთესო პრაქტიკების და გამოცდილების გაცვლასა და ხელშეწყობაზე ,რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს. სპეციალური მომხსენებელი ასევე ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევების ბრალდებებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. იგი სტუმრობს შერჩეულ კონკრეტულ ქვეყნებს და ახორციელებს მიმოწერას 40-ზე მეტ ქვეყანასთან მათი კანონისა და საქმიანობის შესახებ. იგი რეგულარულად აუწყებს კონკრეტულ თემატურ საკითხებზე და მის ვიზიტებზე როგორც ადამიანის უფლებათა საბჭოს ,ასევე გენერალურ ასამბლეას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადდა ტრენინგი მონწიეების დაცვის შესახებ, კონკრეტული აქცენტი კეთდება იმ პირებზე ,რომლებიც მონაწილეობენ ტერორისტულ ან წინასწარ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებში, ასევე ტერორიზმისგან დაზარალებულთათვის ,საჯარო პროკურორებისთვის და სხვა შესაბამისი საგამოძიებო მოხელეებისთვის 19 ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან. ტრენინგები მიზნად ისახავენ უნარჩვევების გაუმჯობესებას მონწიეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის

გამოყენებისთვის, თავდაცვის უფლებით და ტერორიზმისგან დაზარალებულთა შესაბამისი მიდგომების შემუშავების მიზნით.

**\*კონტრტერორიზმის საკითხზე მუშაზე ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:**

კონტრტერორიზმის აღმასრულებელი დირექტორატი (CTED), სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი(DPKO), პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი (DPA), საჯარო ონფორმაციის დეპარტამენტი(DPI), უსაფრთხოების დეპარტამენტი(DSS), 1540 წლის კომიტეტის ექსპერტთა შემადგენლობა, საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტო (IAEA),საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია (ICAO), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 1267 წლის კომიტეტის მონიტორინგის ჯგუფი, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი (OHCHR), საარქივო განყოფილების ოფისი (ODA), იურიდიულ საკითხთა ოფისი (OLA), ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია (OPCW), სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ ტერორიზმის დროს,გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამა (UNDP), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია (UNESCO), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციისა და იუსტიციის კვლევითი ინსტიტუტი(UNICRI), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისი ნარკოტიკებისა და დანაშაულის შესახებ (UNODC), მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO), მსოფლიო ბანკი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია(WHO). მისი დაგეგმვისა და კოორდინირების საქმეში სამუშაო ჯგუფი სცდება გაეროს სისტემის ფარგლებს ,რათა მოიცვან სხვა დაწესებულებებიც, როგორცაა საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია(INTERPOL).

\*\* მიუხედავად იმისა,რომ INTERPOL არ არის გაეროს სისტემაში,ეს არის კონტრტერორიზმის განხორციელების სამუშაო ჯგუფის წევრი(CTITF),რომელიც დაარსდა 2005 წელს და რომელიც იმართება გაეროს გენერალური მდივნის აპარატის მიერ.

(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტერორიზმთან დაკავშირებულ ქმედებებზე ზემოაღნიშნული ინვენტარი ეფუძნება CTITF-ის წევრი ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას).

მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ ესტუმროთ : [www.un.org/terrorism](http://www.un.org/terrorism).

## ანალიზი

ადამიანის უფლებების როლი ტერორიზმის კონტექსტში

ფაქტის ფურცელი N 32-ის დანიშნულების უკეთესად გაგებისთვის, პირველ რიგში, მოკლედ ვისაუბრებთ აქ მოყვანილ ძირითად თემატიკაზე, განვიხილავთ იმ ძირითად ფაქტებს და პრობლემებს, რისი მატარებელიცაა ეს გამოცემა, ფაქტის ფურცელში საუბარია ადამიანის უფლებებზე, ტერორიზმზე და კონტრტერორიზმზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევაზე, მცდელობებზე. ტერორიზმის აღმოსაფხვრელად მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე. თუმცა, პირველ რიგში, უნდა განვმარტოთ თვითონ

ადამიანის უფლებების ხასიათი და ტერორიზმი, ის თანაკვეთა, რომელიც ამ ორს ერთმანეთთან აკავშირებს, შემდეგ კი გადავიდეთ იმ სირთულეებზე და საკვამძო საკითხებზე, რომლებიც წარმოიშვა თარგმნის პროცესში.

ფაქტის ფურცელ N32-ში საუბარია ადამიანის უფლებების ბუნებაზე, საერთაშორისო სამართლის როლზე ადამიანის უფლებებზე, წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებზე, ტერორიზმზე და მის როლზე საზოგადოებაში.

თუმცა „პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ თუ რა როლი აქვს საზოგადოებაში ადამიანის უფლებებს და უზენაესი კანონის პატივისცემას. ეს უფლებები საყოველთაოა, ხელშეუვალი და თანასწორი. ეს უფლებები ყველა ადამიანს აქვს; შეუძლებელია მათი ჩამორთმევა ან მათზე უარის თქმა, ეს უფლებები ყველასთვის თანაბარია - მიუხედავად ისეთი კრიტერიუმებისა, როგორც არის რასა, კანის ფერი, სქესი, ენა სარწმუნოება, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, საკუთრების, დაბადების თუ სხვა სტატუსი. (R. Crawshaw, 2005 : 4)

ადამიანის უფლებები გულისხმობს უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორც არის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, „საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, „საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რეგიონული შეთანხმებები და ის დოკუმენტები, რომლებმაც საუბარია ადამიანის უფლებათა დაცვის კონკრეტულ ასპექტებზე, მაგალითად - წამების აკრძალვა. (R. Crawshaw 2005 :4)

საერთაშორისო სამართალში შესულია რიგი ხელშეკრულებები, რომლებიც ორიენტირებულია ქალთა დისკრიმინაციის, ადამიანების წამების, ცუდად მოპყრობის და სხვა არაადამიანური წამების აღმოფხვრაზე, ბავშვთა უფლებებზე, მიგრაციაში მყოფ მომუშავე ადამიანებზე, მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ შეთანხმებებთან ერთად, თუმცა უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანია შეთანხმებები ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებაზე, აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისეთი სახის ხელშეკრულებები

,რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია და განსაკუთრებული სტატუსი გააჩნია ,ესაა ჩვეულებითი სამართლის იმპერატიული ნორმები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებია. ჩვეულებითი სამართლისგან განსხვავებით ,იგი არ შეიძლება დაირღვეს ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ(გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში (გაერო), ფაქტის ფურცელი N32).

გამოცემის მთავარი დანიშნულებაა მკითხველს წარმოადგენა შეუქმნას ადამიანის უფლებების პრობლემატიკაზე,იგი საშუალებას იძლევა მოკლედ და კონკრეტულად წარმოგვიდგინოს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი საკითხები : ტერორიზმის ზეგავლენაზე, დაბარალეულთა უფლებებზე საერთაშორისო სამართლით რეგულირებულ მოქმედებებზე, სიცოცლის და თავისუფლების უფლებაზე ,წამების საწინააღმდეგო ფაქტორებზე ადამიანის უფლებების მოქნილობაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე .

თეორიული ასპექტები

თარგმნის კონტექსტუალური მეთოდი

ამ თავში მოკლედ განვიხილავთ იმ გრამატიკულ საკითხებს ,რომლებმაც გარკვეული სახის სირთულე შექმნეს თარგმნისას ,ვისაუბრებთ იმ მეთოდებზე ,რომლებიც გამოვიყენეთ და რომელიც დამეხმარა თარგმნისას. პირველ რიგში,გამოვყოფდი ფონური ცოდნის მნიშვნელობას, რომლის გარეშეც შეუძლებელია სწორი თარგმანის შესრულება, *ტექსტის ადაპტაციის დროს მთარგმნელს უნევს იმპლიციტურად*



წარმოდგენილი ფონური ცოდნის ექსპლიციტურში გარდაქმნა[რ.თურმანიძე,2018:24] სიტყვა აღნიშნავს საგანს ან მოვლენას, რომელიც დამახასიათებელია ამოსავალი ენისათვის და უცხოა სათარგმნი ენისათვის[რ.თურმანიძე,2018:29] ,მაგალითად სიტყვა „პროფილირება“,რომელიც ინგლისურად უღერს როგორც “profiling” ,დავტოვე იგივე სახით,რადგან ზუსტი შესატყვისის მოძიება რთული აღმოჩნდა. თუ მთარგმნელმა არ შეისწავლა შინაარსი ,თარგმნისას შესაძლოა დაუშვას შეცდომა და ტექსტი არასწორად გადმოიტანოს ,რაც გაუგებრობას იწვევს, პირველ რიგში შევისწავლე შინაარსი, თუმცა მალევე თავი იჩინა ტერმინოლოგიურმა სირთულეებმა, პირველი სირთულე იყო ტერმინ “Jus Cogens“ თარგმნა, რომელიც ფაქტობრივად არ ითარგმნება და იგივე სახით რჩება ლიტერატურაში , მისი პირდაპირი განმარტება შემდეგია „jus cogens“-ი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის „იმპერატიულ ნორმას“. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები იურიდიულად სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს არა აქვს რატიფიცირებული მოცემული ხელშეკრულება. jus cogens-ის პრინციპებს არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სახელშეკრულებო სამართალი ან საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმები“.

(<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7290> ) ეს არის უცხო ენიდან შემოსული და დამკვიდრებული ერთეული. აგრეთვე, აღსანიშნავია სათაურების თარგმნის თავისებურებების გაშუქება. წავანყდი ისეთ პრობლემას ,რომელმაც დილემის წინაშე დამაყენა და არ ვიცოდი როგორ გადმომეტანა სათარგმნი ენაზე, ამ შემთხვევაში ავამოქმედე კონტექსტუალური თარგმანის პრინციპი. თუკი კონკრეტული სიტყვის თარგმნის პრობლემა ჩნდება, შესაძლებელია მისი კონტექსტიდან გამომიდინარე გადმოტანა, მაგალითად ტექსტში მოცემული ფრაზა „in the pursuance of legitimate purpose“[გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,შემდგომში(გაერო),ფაქტის ფურცელი N32:24], გადმოვიტანე,როგორც „ლეგიტიმური მიზნების ძიებაში“- აღნიშნული მეთოდი თავისი არსით წააგავს მიახლოებით თარგმანს და ეწინააღმდეგება ლექსიკონისეულ თარგმანს. მოცემულ შემთხვევაში, ჩემთვის,როგორც მთარგმნელისათვის ამოსავალია

კონტექსტი. იყო შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა სინონიმური ფრაზების არსებობას, ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვა მეორედებოდა სხვადასხვანაირად ინგლისურ ენაზე, ხოლო ქართულად ერთი და იგივე ფორმა ჰქონდა, მაგალითად „corrosive effect, adverse effect, negatively effect, destructive impact” [გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში (გაერო), ფაქტის ფურცელი N32, გვ1;7] – რაც ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც დამანგრეველი ზეგავლენა. ზოგი სიტყვა ნეოლოგიზმის სახითაა წარმოდგენილი და თანამედროვე ენაში თავისუფლად გამოიყენება, მაგალითად გამოცემის შესავალში მოცემული იყო “destabilize governments, socio-economic marginalization” [გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში (გაერო), ფაქტის ფურცელი N32, გვ7;2] ეს გადმოვიტანე, როგორც „მთავრობების დესტაბილიზაცია და სოციო-ეკონომიკური მარგინალიზაცია“. როგორც ცნობილია, ნეოლოგიზმი ენაში ახლად შემოსული და დამკვიდრებული ტერმინია, შესაბამისად ეს ითვალისწინებს ამ სიტყვების ამ ფორმით დამკვიდრებას და სხვა უფრო მოძველებული ვარიანტის ჩანაცვლებას.

ერთ-ერთი სირთულე ჩემთვის პირადად იყო თარგმანის სამართლებრივ ენაზე გადმოტანა ან მიახლოებითი გადმოტანა, რადგან იურიდიული თარგმანის შესრულებას თავისი სპეციფიკა სჭირდება და ჩარჩოებშია მოქცეული (M. Murici, 2016). მაგალითისთვის მოვიხმობ ტექსტს:

- „Human rights law obliges states, primarily, to do certain things and prevents them from doing others” [გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში (გაერო), ფაქტის ფურცელი N32 :4]

- ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი წინადადება დაბნეულობას იწვევს, რადგან იგულისხმება „ადამიანის უფლებების სამართალი ავალდებულებს სახელმწიფოებს, ძირითადად, რათა მიმართონ კონკრეტულ ზომებს და ამავედროულად თავი შეიკავონ სხვა ვალდებულებების განხორციელებისგან, თუმცა აზრი მარტივია, მიუხედავად იმისა რომ ერთი შეხედვით დაბნეულობას იწვევს, აქ ნაგულისხმევაა, რომ სახელმწიფოებმა

მხოლოდ მათთვის დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულონ პირნათლად და სამართლებრივი ნორმების დაცვით.

იყო შემთხვევები, როდესაც წინადადების სიდიდის გამო მისი გადმოტანა გართულდა ქართულ ენაზე, რადგან ძალიან სპეციფიკური იყო და რთული კატეგორიის წინადადებას განეკუთვნება, მაგალითად, ესეთია:

- *“The basic principles and guidelines on the right to a remedy and reparation for victims of gross violations of international Human rights law” [გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში(გაერო), ფაქტის ფურცელი N32 :10]*

- ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ანალოგიურად მისი გადმოტანა შეუძლებელი გახდა და გარკვეული სიტყვების დაკლება გამოიწვია, ანუ სრულფასოვან სახეს ვერ იღებს სამიზნე ენაზე გადმოტანისას, ინგლისურიდან გადმოტანილი ვერსია შემდეგნაირად უღერს „ძირითადი და სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის უხეში დაღვევის და რეაგირების უფლების შესახებ“. თარგმანში ამოღებული სიტყვაა „მსხვერპლი“.

განსაკუთრებით გამოვყოფდი ერთ ფრაზას, რომელიც გამოცემაში შემხვდა ეს იყო *“the principle of distinction” [გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში(გაერო), ფაქტის ფურცელი N32:11]*, იგი გადმოვიტანე, როგორც „განსხვავების პრინციპი“, რადგან კონტექსტიდან გამომდინარე დავასკვნე, რომ ეს ფრაზა ეხებოდა დაყოფის პრინციპს, ანუ კონფლიქტის მხარეები ყოველთვის განირჩევიან მოქალაქეებად და მებრძოლებად, სწორედ ეს იგულისხმება ამ პრინციპში.

თანამედროვე ენა დაბინძურებულია ბარბარიზმებით, ბარბარიზმი როგორც ვიცით არის ენაში საჭიროების გარეშე შემოტანილი სიტყვა, რომელსაც აქვს შესატყვისი თავის ენაზე. <https://barbarisms.ge/whatis/>, ესეთი სიტყვები უკვე მკვიდრდება ქართულ ენაში, ეს თანამედროვე სიტყვები მშვენივრად აითვისა ენამ და თავისუფლად ხდება მისი ასიმილაცია საზოგადოებაში, ამ გამოცემიდან გამოვყოფდი შემდეგ სიტყვათა რიგს,

რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ქართული განმარტება აქვთ , მაინც ინარჩუნებენ არსებულ ფორმას, ესენია :

- *Integrity*
- *Cooperation*
- *Implementation*
- *Restitution*
- *Compensation*

[*გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში(გაერო) ფაქტის ფურცელი N32, გვერდები 1;5;14;2]*

- ინტეგრაცია- გაერთიანება
- კოოპერაცია - ურთიერთთანამშრომლობა
- იმპლემენტაცია- დანერგვა
- რესტიტუცია- აღდგენა
- კომპენსაცია- ანაზღაურება

ენაში გვაქვს შემთხვევები ,როდესაც სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და რთულია მიუსადაგო შესაბამისი ეკვივალენტი თარგმნისას, რასაც ისევ კონტექსტზე დაყრდნობით უნდა მივხედოთ ,ეს არის პოლისემანტიკური სიტყვების მაგალითი : enjoyment, framework, ეს სიტყვები ზუსტი მნიშვნელობით ნიშნავს : enjoyment - ტკბობა, მაგრამ ტექსტში გვხვდება ფრაზის სახით - the enjoyment of human rights - რაც ნიშნავს ადამიანის უფლებების დაცვას , ხოლო მეორე სიტყვა framework- ითარგმნება ,როგორც ტანი, ჩარჩო, კორპუსი; სტრუქტურა, თუმცა ტექსტში სხვა სახით გვხვდება -“ *This chapter sets out the human rights framework before examining the impact that terrorism has on human rights.*”[*გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემდგომში(გაერო), ფაქტის ფურცელი N32:3*]- „ ეს თავი ადამიანის უფლებებზე ტერორიზმის გავლენამდე განმარტავს ადამიანის უფლებების სტრუქტურას.“სუფთა სმართლებრივი ტერმინების გარდა, აგრეთვე გავრცელებულია საერთო სიტყვები იშვიათი მნიშვნელობით, ე.წ პოლისემანტიკური ლექსემები

